პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო.

ხუთშაბათი
12
დეკემბერი
1935 წ.
№ 287 (4443)

ფასი 10 კ.

— დიდი გამარჯვება დიდი ამოცანები (მოწ-ნავე).
— ახალი ტრაქტორებისა და ავტობუსის დათვალიერება ამხანაგების სტალინის, მოლოტოვის, ორჯონიკიძის, კაგანოვიჩის, ვოროშილოვის და მექლაუკის მიერ.
— როგორ ჩამოყალიბდა დიდი ბელადი (მოგონებანი ამხ. სტალინის მუშაობაზე პირველი რევოლუციის პერიოდში).
— შ. რადიანი—ნიკო ლომოური.
— ცნობა საქ. ალკკ მე-10 ყრილობის მოწვევის შესახებ.
— ს. ჩიქოვანი — ქურდები.
— დ. ლომთაძე მეცნიერის სიხარული.
— კამათი თემთა პალატაში იტალია-აბისინიის კონფლიქტის საკითხზე.
— აბისინიის დაყოფის ინგლის-ფრანგული პროექტი.
— აბისინიის გამოხმაურება.

დიდი გამარჯვება. დიდი ამოცანები!

ორი წლის წინათ, დნეპროპეტროვსკის ოლქის მოწინავე კოლმეურნეებთან საუბარში ამხ. სტალინმა განაცხადა: „კოლმეურნეობები აივსებიან პროდუქტებით, ისინი აივსებიან ყოველგვარი დოვლათით და ჩვენი ქვეყანა გახდება ყველაზე მდიდარი ქვეყანა მთელს მსოფლიოში“.

ბელადის ამ გამამხნევებელი განცხადების საუკეთესო დადასტურებას წარმოადგენს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ წელს პურისა და ყოველგვარი მარცვლეულის დამზადების გეგმების ვადამდე შესრულება.

და განა მარტო მარცვლეულის!

წელს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სასახელოდ შეასრულეს ჭარხლის დამზადების გეგმა და ამგვარად პროლეტარულ სახელმწიფოს მისცეს საშუალება — შეუფერხებლად მოამარაგოს მშრომელთა მრავალმილიონიანი მასები შაქრით.

პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა მონაწილეობით კრემლის აბობოქრებული დარბაზი ტყუილად კი არ უმართავდა მხურვალე ოვაციებს ტაჯიკისტანისა და თურქმენისტანის კოლმეურნეობათა საუკეთესო დამკვრელებს. სწორედ მათ, შორეული ყიშლაღისა და შუააზიის საკოლმეურნეო ველების სახელოვანმა ადამიანებმა აავსეს ჩვენი საფეიქრო მრეწველობის საწყობები ბამბის ნედლეულის მარაგით.

ბედნიერი საბჭოთა ხალხის ამ გამარჯვების ყიჟინას კარგა ხანია შეუერთდა ორდენოსან საქართველოს მშრომელთა ძლიერი ხმაც. მიმდინარე სამეურნეო წლის პირველი გამარჯვება ჩვენში დაიწყო პურის და სხვა მარცვლეულის ჩაბარების დავალებათა ვადამდე განაღდებით. ამას მოჰყვა ჩაის დამზადების შარშანდელთან შედარებით ერთი-ორად გადიდებული გეგმის ვადამდე შესრულება. ხოლო „კომუნისტის“ გუშინდელ ნომერში უკვე გამოქვეყნდა ამხ ლავრენტი ბერიას პატაკი ამხ. სტალინისა და მოლოტოვისადმი მანდარინის დამზადების სახელმწიფო გეგმის ვადამდე და გადაჭარბებით შესრულების შესახებ.

ყოველივე აქედან ჩანს, თუ როგორი ნაბიჯებით წავიდა წინ სოციალისტური მიწათმოქმედების განვითარება, კოლმეურნეობების განმტკიცება და საბჭოთა მეურნეობების სწრაფი აღმავლობა.

სოციალისტური სოფლის მეურნეობის აღმავლობის ამ თვალწარმტაც ფონზე განსაკუთრებით თვალსაჩინოა ციტრუსოვან მეურნეობათა დამკვრელებისა და სტახანოველების წარმატებანი. ამ უკანასკნელი სამ-ოთხი წლის განმავლობაში ციტრუსოვანი კულტურების განვითარება სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ. საკავშირო სახკომსაბჭოს და საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელმა გადაწყვეტილებამ საქართველოს შავი ზღვის სანაპიროებზე ციტრუსოვანთა ფართობის 20 ათას ჰექტარამდე გადიდების შესახებ ახალი ენერგია და პათოსი შემატა სუბტროპიკული რაიონების ორგანიზაციებსა და მასებს.

ახლა აჭარისტანში, გურიასა და აფხაზეთში თითზე ჩამოსათვლელი როდია ისეთი კოლმეურნეობები, რომლებიც ციტრუსოვანთა მეურნეობებიდან ასიათასობით და მილიონ მანეთობით შემოსავალს ითვლიან.

ქობულეთის რაიონის ამხ. ვოროშილოვის და მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობებში თუ საშუალოდ თვითეულ პატიოსნად მომუშავე კოლმეურნემ წელს 12 ათას მანეთამდე მარტო ფულადი შემოსავალი მიიღო, ეს იმიტომ მოხდა, რომ იქ ციტრუსოვან კულტურებს თვალისჩინივით უვლიან.

ციტრუსოვანი კულტურა, რომელიც წინათ მხოლოდ მეფის გენერლების შვილებსა და საუფლისწულო მამულთა ბაღებს ამშვენებდა, ახლა ფართოდ ინერგება საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში, კოლმეურნეთა საკარმიდამო ადგილებში და იქცევა კოლმეურნე გლეხთა შემოსავლის მდიდარ წყაროდ.

საქართველოს პარტიული ორგანიზაცია მისი ცენტრალური კომიტეტისა და პირადად ამხ. ლ. ბერიას ყოველდღიური ცოცხალი ოპერატიული ხელმძღვანელობით ბოლშევიკურად ასრულებს ბელადის მოწოდებას ციტრუსოვან კულტურათა ფართოდ განვითარების შესახებ. ამის საუკეთესო ილუსტრაციას წარმოადგენს მანდარინის იმ გადიდებული გეგმის ვადამდე და გადაჭარბებით შესრულება, რომელიც ერთისამად აღემატება შარშანდელ გეგმას.

მაგრამ ამ მორიგმა ბრწყინვალე გამარჯვებამ ციტრუსოვან კულტურათა განვითარების ფრონტზე არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოიწვიოს თვითკმაყოფილება და დემობილიზაციური განწყობილება.

პირიქით, ამ გამარჯვებას სუბტროპიკულ რაიონების პარტორგანიზაციებმა უნდა უპასუხონ მუშაობის კიდევ უფრო გაძლიერებით არსებული ნარგავების მოვლისა და ციტრუსების ახალი პლანტაციების გაშენებისათვის.

მანდარინის დამზადების ფრონტზე მოპოვებულმა გამარჯვებამ კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე უნდა აიყვანოს ციტრუსების სტახანოველთა მოძრაობა, გაამრავლოს მათი რიცხვი, გააძლიეროს ზრუნვა ციტრუსოვანთა სანერგე მეურნეობის სანიმუშოდ მოწყობისა და ახალი პლანტაციების გეგმიანად გაშენებისათვის.

მხოლოდ ამ პირობით შეიძლება იმ ისტორიული საბრძოლო დავალების ბოლშევიკურად შესრულება, რომელიც საკავშირო კ. პ. (ბ) ც. კ-ის და სახკომსაბჭოს მიერ მიცემული აქვს დასავლეთ საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებს ციტრუსების განვითარების ხუთწლიანი გეგმის სახით.

ორდენოსან საქართველოს ბოლშევიკები საბჭოთა მეურნეობანი, კოლმეურნეობები, ეჭვი არაა, გაშლიან გმირულ ბრძოლას ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის მითითებათა განსახორციელებლად, რომლებიც შეეხება ციტრუსოვანთა მოსავლიანობის მილიარდობით გადიდებას უახლოეს მომავალში

მიღწეულია დიდი გამარჯვება, დასახულია დიდი ამოცანები, ჩვენი დიდი ეპოქის გმირი ადამიანები, მუშაობის სტახანოვური გაქანებით, ამ ამოცანებს უეჭველად დასძლევენ!

სტახანოველთა მიმართვა
ამხ. ლავრენტი ბერიას

ძვირფასო ამხანაგო ლავრენტი! ტყიბულის ქვანახშირის მაღაროების და კოლმეურნე სტახანოველების პირველი სარაიონო შეკრება მხურვალე სტახანოვურ სალამს გიძღვნის შენ, ა.-კ. და ორდენოსან საქართველოს დიად მიღწევათა უდიდეს ორგანიზატორს, დიდი სტალინის სახელოვან მოწაფეს.

დიდი საბჭოთა ქვეყნის და მთელი მსოფლიო პროლეტარიატის გენიოსი ბელადის ამხ. სტალინის სიტყვამ კადრების შესახებ, ჩვენს ქვეყანაში წარმოშვა ახალი ადამიანები, რომლებმაც მოგვცეს მუშაობის საუკეთესო ნიმუშები, დაამსხვრიეს ძველი დახავსებული ნორმები და დაამყარეს შრომის ნაყოფიერების გაუგონარი რეკორდები.

დონბასის ლეგენდარული გმირის ალექსი სტახანოვის მსგავსი ადამიანები, რომლებიც ჩვენს მაღაროებში, ამყარებენ ქვანახშირის ნგრევის მაღალ რეკორდებს, მუშაობენ და იბრძვიან სტახანოვურად, ამხ. **გრ. გორგიძე** დღიურ ნორმებს 500 პროცენტით ასრულებს: **ა. ცქიფურიშვილი** — 520 პროცენტით; **აკ. კუბლაშვილი** — 525 პროცენტით; **დარსაძე**—500 პროცენტით; **კალინინი** — 450 პროცენტით; ასე მაღალ რეკორდებს ამყარებს **ბაგლაევი, დოლონაძე** და სხვები.

გულახდილად უნდა გამოგიტყდეთ, ძვირფასო ამხანაგო ლავრენტი, რომ ამ მაღალ რეკორდებს ჩვენს შორის ჯერ კიდევ მხოლოდ ერთეულები ამყარებენ. ვიძლევით სტახანოვურ სიტყვას, რომ სტახანოვის, ბუსიგინის, მარიამ დემჩენკოს და სხვათა მეთოდს გავხდით ჩვენი მუშაობის კანონად.

ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებს დიდი ხანია, რაც თავი ვერ დაუღწევიათ გარღვევებისთვის. ჩამორჩენის მიზეზი, კვალიფიციური მუშა-ხელის ნაკლებობასთან ერთად, ეს არის მაღაროების მექანიზაციის და მოსამზადებელი სამუშაოების წლობით ჩამორჩენა.

ამჟამად სწრაფი ტემპით ვითარდება მაღაროების მექანიზაცია. ხელით ბურღვას, წერაქვ-ნიჩაბს და ცხენს სწრაფად სცვლის ელექტრომანქანები. ვიმყოფებით რა ამ უდიდესი გარდაქმნის პროცესში, ღრმად გვწამს და გარწმუნებთ, ამხანაგო ლავრენტი, რომ თქვენი შემდგომი ბრძნული მითითებებით და დახმარებით, ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების შემდგომი ხელმძღვანელობით მალე დავაღწევთ თავს დიდ. ხნის ჩამორჩენას, ჩავდგებით ორდენოსანი საქართველოს მოწინავე საწარმოთა და კოლმეურნეთა რიგებში.

გაუმარჯოს ჩვენს ქვეყანაში დიად სოციალისტურ გამარჯვებათა უდიდეს ორგანიზატორს, მსოფლიო პროლეტარიატის საყვარელ ბელადს ამხ. სტალინს!

გაგიმარჯოს შენ, ამხ. ლავრენტი, ა.-კ. და ორდენოსან საქართველოს ორდენოსან ხელმძღვანელს!

შეკრების პრეზიდიუმი.

ცნობა
საქ. ა.ლ.კ.კ. ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა:

ლენინური კომკავშირის მეათე საკავშირო ყრილობა მოწვეულ იქნას ქალაქ **მოსკოვში** 1936 წლის 1 მარტს შემდეგი დღისწესრიგით:

1. საკ. ა.ლ.კ.კ. ცენტრალური კომიტეტის ანგარიში. სარევიზიო კომისიის თანამოხსენებით.
2. ანგარიში საკ. ა.ლ.კ.კ. დელეგაციისა ახალგაზრდობის კომუნისტურ ინტერნაციონალში.
3. საკ. ა.ლ.კ.კ. პროგრამისა და წესდების დამტკიცება.
4. სკოლაში კომკავშირის მუშაობის შესახებ.
5. არჩევნები.

საანგარიშო - საარჩევნო კამპანია ჩატარდეს შემდეგ ვადებში:

საკ. ა.ლ.კ.კ. პირველად ორგანიზაციებში — 1935 წლის 15 დეკემბრიდან 1936 წლის 15 იანვრამდე.

საკ. ა.ლ.კ.კ. რაიონული კონფერენციები — 1936 წლის 15 იანვრიდან 10 თებერვლამდე.

საკ. ა.ლ.კ.კ. საოლქო, სამხარეო კონფერენციები და ნაციონალური რესპუბლიკათა კომკავშირის ყრილობები ჩატარდეს 1936 წლის 10 თებერვლიდან 22 თებერვლამდე.

საკ. ა.ლ.კ.კ. ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ა. კოსარევი.

იტალია-აბისინიის ომი

აბისინიის დაყოფის ინგლის-ფრანგული პროექტი

(ტელეფონით „პრავდის“ პარიზელი კორესპონდენტისაგან)

პარიზი, 9 დეკემბერი. გუშინ დასრულდა ხორის მოლაპარაკება ლავალთან, და ხორი შვეიცარიაში გაემგზავრა. ინგლისის ექსპერტი პეტერსონი ლონდონს დაბრუნდა, რომ ინგლისის მთავრობას მოახსენოს თათბირის შედეგები და მიიღოს მთავრობის თანხმობა ლავალისა და ხორის მიერ შემუშავებულ წინადადებებზე. ვანსიტარტი რამოდენიმე დღით პარიზში დარჩა თუმცა ოფიციალური ცნობებით, მოლაპარაკების დროს მიღებულ გადაწყვეტილებათა გამოქვეყნებაზე ამჟამად „ლაპარაკიც კი არ შეიძლება“, ამ წინადადებათა ძირითადი ხაზები გუშინ საღამოს მაინც ცნობილი გახდა პარიზში და დღეს დილით ზოგ გაზეთში გამოქვეყნდა.

ინგლის-საფრანგეთის საერთო წინადადებანი, რომლებიც წარედგინება მუსოლინის, თუ ამ წინადადებებს ინგლისის კაბინეტი დაამტკიცებს, შემდეგში მდგომარეობს: იტალია მიიღებს ტიგრეს პროვინციას, გარდა ქალაქ აქსუმისა და კორიდორისა ამ ქალაქიდან ცენტრალური აბისინიის ტერიტორიამდე. იტალია მიიღებს აგრეთვე ოგადენსა და დანაკილს. გარდა ამისა, იტალიას მიეცემა „ზონა კოლონიზაციისათვის“ კენიისა და სუდანის საზღვრიდან ჩრდილოეთი განედის 8 გრადუსამდე და აღმოსავლეთი გრძედის 36 გრადუსამდე ამ ზონის ფარგლებში იტალიას შეეძლება პოლიცია იყოლიოს.

აბისინიას უნდა მიეცეს გასავალი ზღვისაკენ ასაბის ნავთსადგურში (იტალიის ერიტრეა) და კორიდორი ამ ნავთსადგურისაკენ იტალიური ერიტრეის ტერიტორიაზე. მაგრამ გუშინ დათქვეს, რომ თუ მუსოლინი ასაბის დათმობას არ დათანხმდება, აბისინიას ზღვისაკენ გასავალი მიეცემა ზეილის ნავთსადგურში, ბრიტანეთის სომალის ტერიტორიაზე (ინგლისელების წინადადება), ან გაფართოვდება აბისინიის უფლებები ჯიბუტის ნავთსადგურის ტერიტორიაზე და ჯიბუტი თავისუფალ ნავთსადგურად გადაიქცევათ (ფრანგების წინადადება).

იტალიას ზემოაღნიშნული პროვინციები უნდა გადაეცეს „ტერიტორიების ურთიერთი დათმობის“ წესით, ხელშეკრულების თანახმად, რომელიც უნდა დაიდოს იტალიასა და აბისინიას შორის.

რაც შეეხება ცენტრალურ აბისინიას, ინგლის-საფრანგეთის წინადადებებში უკვე არაფერია ნათქვამი იქ „ინტერნაციონალური რეჟიმის“ დამყარებაზე, მაგრამ ბუნდოვნად არის აღნიშნული, რომ შესაძლოა ერთგვარი ხელშეკრულების დადება აბისინიასა და ერთა ლიგას შორის, რის შედეგადაც ერთა ლიგა აბისინიაში თავის მრჩევლებს გაგზავნის. მათ შორის იქნება იტალიელი მრჩეველიც.

ინგლის-საფრანგეთის წინადადებანი ამ შემთხვევაში იტალიას უფრო თვალსაჩინო ტერიტორიულ დათმობებს ანიჭებენ აბისინიაში, ვიდრე ის დათმობები, რომლებზეც ინგლისი დღემდე თანხმდებოდა. ინგლისის კაბინეტის მიერ დამტკიცების შემდეგ ეს წინადადებანი ინგლისისა და საფრანგეთის სახელით ეცნობება მუსოლინის. თუ იტალიის მთავრობა 12 დეკემბრამდე დათანხმდება მიიღოს ეს წინადადებანი მოლაპარაკების საფუძვლად,— ფიქრობენ, რომ „18-თა კომიტეტის“ სხდომის მაგივრად ჟენევაში დეკემბრის შუა რიცხვებში მოწვეული იქნება ერთა ლიგის საბჭო (ადს).

აბისინიის გამოხმაურება

ლონდონი, 10 დეკემბერი. ინგლის - საფრანგეთის პროექტმა, რომლის მიხედვითაც უნდა გადაიჭრას იტალია-აბისინიის კონფლიქტი და რომელიც პარიზში გუშინ გამოქვეყნდა, ცხადია, უაღრესად მტრული გამოხმაურება ჰპოვა აბისინიაში. გუშინ საღამოს ლონდონში აბისინიის დიპლომატიური მისიის წარმომადგენელმა განაცხადა.

„ჩვენი მთავრობა ყოველთვის მტკიცედ უარჰყოფს ყოველგვარ საზავო წინადადებას, რომელიც ითვალისწინებს იტალიისათვის აბისინიის ტერიტორიის დათმობას. ჩვენ გვთხოვენ მივსცეთ ჩვენი ქვეყანა მტერს. ჩვენ არასოდეს არ შეგვიძლია დავეთანხმოთ ამას“. „ტაიმსი“ ადის-აბებიდან იუწყება, როგორც ოფიციალურ წრეებში აღნიშნავენ. ძალიან საეჭვოა, რომ აბისინიის იმპერატორმა „ტიგრეს პროვინციის ტერიტორიის თუნდაც ერთი ნაკვეთი დასთმოსო“. რეიტერის სააგენტოს ჯიბუტელი კორესპონდენტი სწერს, რომ საფრანგეთის სომალიში საქმესთან კარგად გაცნობილი წრეების აზრით, აბისინიას არ შეუძლია მიიღოს პარიზის გეგმა. აბისინიის ტერიტორიის დათმობა, აღნიშნავს შემდეგ კორესპონდენტი, — სრულიადაც არ არის გამართლებული სამხედრო ოპერაციების შედეგებით. კონფლიქტის მოგვარების პირობები მით უმეტეს მიუღებელია. რომ ამ პირობებს აყენებენ იმ დროს, როცა აბისინია უფრო ძლიერად გრძნობს თავს სამხედრო მდგომარეობის მხრივ. აბისინიის იმპერატორი რომ სახელმწიფოთა ზეგავლენით ამ გეგმას დათანხმებულიყოს მაშინ იფეთქებდა აჯანყება აბისინიის ახლანდელი მთავრობის წინააღმდეგ (ადს).

გენერალ-მაიორი ტემპერლი იტალია-აბისინიის ომის შესახებ

ლონდონი, 10 დეკემბერი. „დეილი ტელეგრაფი“ აქვეყნებს გენერალ-მაიორ ტემპერლის სტატიას აბისინიაში მიმდინარე სამხედრო მოქმედებათა შესახებ. ტემპერლი აჯამებს ომის ორი თვის შედეგებს და აღნიშნავს, რომ იტალიელებმა ჩრდილოეთის ფრონტზე სულ 112 კილომეტრით წაიწიეს ადის-აბებისკენ მიმავალ გზაზე. თუ მხედველობაში მივიღებთ ამ გზის მიხვეულ-მოხვეულობას, სწერს ტემპერლი, ადის-აბებამდე დარჩენილია კიდევ, სულ ცოტა, 800 კილომეტრი. თუ იტალიელები ასეთივე ტემპით ივლიან, აბისინიის სატახტო ქალაქამდე მათ დასჭირდებათ ორი, შესაძლოა, სამი მშრალი სეზონი.

სამხრეთის ფრონტზე იტალიელებმა საშუალოდ 190 კილომეტრით წაიწიეს.

ტემპერლის სიტყვით სანქციათა გავლენა და წვიმების სეზონში სამხედრო ოპერაციების სიძნელენი ისეთია, რომ თუ იტალიელები უახლოესი 4 თვის განმავლობაში ვერ აიძულებენ აბისინიას კაპიტულაციას, იტალია ომს წააგებს. (ადს).

ინგლის-საფრანგეთის მოლაპარაკება

ლონდონი, 9 დეკემბერი. როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, კაბინეტის სხდომის შემდეგ გამოქვეყნდა, რომ ინგლისის პარიზელი ელჩის საშუალებით საფრანგეთის მთავრობას გაეგზავნა ცნობა და რომ ახლანდელ პირობებში არ არის შესაძლებელი გამოქვეყნდეს იტალია-აბისინიის კონფლიქტის მოგვარების წინადადებათა შინაარსი. როგორც სააგენტო აღნიშნავს, ლონდონის ავტორიტეტიან წრეებში არც უარყოფენ, არც ადასტურებენ პარიზის ცნობებს, რომლებიც შეიცავენ ინგლისისა და საფრანგეთის მიერ განხილული გეგმის ძირითად შინაარსს.

რეიტერის სააგენტო უარყოფს ხმებს, თითქოს იდენს განზრახვა ჰქონდეს გადადგეს კაბინეტის იმ გადაწყვეტილების გამო, რომელიც იწონებს ხორის მიერ პარიზში მიღწეულ შეთანხმებას.

ჟენევა, 10 დეკემბერი. მცირე ანტანტის წრეებთან ახლომდგომი „ჟურნალ დე ნასიონ“ სწერს:

„თუ მართალია, რომ პარიზში ლავალისა და ხორის მიერ შემუშავებული წინადადებანი იტალიის „კანონიერ მოთხოვნებს“ დიდად აკმაყოფილებენ, მაშინ წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ ეს წინადადებანი ერთა ლიგისათვის მიუღებელია“.

ლონდონი, 9 დეკემბერი. „ივნინგ ნიუსის“ გადმოცემით, დღეს ლონდონის ავტორიტეტიან წრეებში ირწმუნებოდნენ „აბისინიას ან ვისმე სხვას არავითარ სამშვიდობო პირობას თავზე არ მოახვევენო“. „ბრიტიშ იუნაიტედ პრესის“ ადის-აბებელი კორესპონდენტის გადმოცემით, აბისინიის ოფიციალურ წრეებში აღნიშნავენ, პარიზის ცნობებში მოყვანილი გეგმა „სრულიად მიუღებელიაო“.

ტანისამოსის ფორმა და განსხვავების ნიშნები წითელ არმიაში

მოსკოვი, 10 დეკემბერი. სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა მუშურ-გლეხური წითელი არმიის სახმელეთო და საჰაერო ძალების მეთაურთა, უფროსთა და რიგითი შემადგენლობის ტანისამოსის ფორმა და განსხვავების ნიშნები.

მთელი არმიის მეთაურთა და უფროსთა შემადგენლობისათვის, საჰაერო ძალების გამოკლებით, წესდება მაუდის ქუდი სხვადასხვა ფერადი არშიით (ჯარების გვარეობის მიხედვით ჟოლოსფერი ქვეითა ჯარში, ლურჯი—კავალერიაში, შავი—არტილერიაში, ტექნიკურ და ქიმიურ ჯარებში და სხვ.) ფოლადის მუზარადის კომბინირებული ტარებისათვის და მინდვრად სამუშაოდ შემოღებულია მაუდის პილოტკა. საჰაერო ძალთა ნაწილებში ქუდის მაგივრად წესდება მაუდის პილოტკა. კავალერიასა და ცხენოსან არტილერიაში რჩება არსებული ნიმუშის ფარაჯა, ხოლო დანარჩენი გვარეობის ჯარებისათვის წესდება ორმწკრივღილიანი ფარაჯა. საჰაერო ძალების და ავტო-ჯავშნიან სატანკო ჯარების მეთაურთა და უფროსთა შემადგენლობისათვის წესდება ფორმა — გულამოჭრილი ფრენჩი და შარვალი ბრიჯი ზურგის დაწესებულებებსა და შტაბებში—გულშეკრული ფრენჩი, ჩამოშვებული შარვალი და ქრომის დაბალყელიანი ფეხსაცმელი. მინდვრად მუშაობისათვის — კრაგები და ჩექმები მწყობრში ყოველდღიურ სატარებლად ყველა გვარეობის ჯარებში რჩება არსებული სახის გიმნასტიორკა, შარვალი და ფეხსაცმელი. მწყობრის გარე—გულშეკრული ფრენჩი ხოლო საჰაერო ძალების და ავტო-ჯავშნიანი-სატანკო ჯარების მეთაურებისათვის — გულამოჭრილი ფრენჩი. ჩამოშვებული შარვალი და ქრომის დაბალყელიანი ფეხსაცმელი ქუდებს. საყელოებს, სახელოების ყოშებს და შალვრის განაპირას შემოვლებული ექნება სხვადასხვაფერი კანტი.

ყველა გვარეობის ჯარების უმცროს მეთაურთა და რიგითი შემადგენლობა, საჰაერო ძალების გამოკლებით, ატარებს ფერადარშიებიან ქუდს. ხოლო ფოლადის მუზარადის კომბინირებული ტარებისათვის ყველა გვარეობის ჯარებისა და ტერიტორიულ ნაწილთა მთელი ცვალებადი შემადგენლობისათვის—ქუდის მაგივრად დაწესებულია პილოტკა.

განსხვავების ნიშნები მეთაურთა შემადგენლობისათვის წესდება ოქრომოკანტებულ საყელოებზე და სახელოებზე, საბჭოთა კავშირის მარშალს წითელ საყელოებზე აქვს დიდი ოქრომკედური ვარსკვლავი, სახელოზე აგრეთვე დიდი ოქრომკედური ვარსკვლავი და ოქროს ფართო სირიფისა და წითელი მაუდის ერთი კუთხედი. არმიის 1 რანგის სარდალს საყელოებზე აქვს ოქრომკედული ვარსკვლავი და 4 რომბი. სახელოებზე—ოქრომკედული ვარსკვლავი და ოქროს ფართო სირიფის ერთი კუთხედი. არმიის მე-2 რანგის სარდალს —4 რომბი საყელოებზე, ოქროს შუათანა სირიფის 4 კუთხედი სახელოზე. არმიის 1 რანგის კომისრისათვის დაწესებულია განსხვავების ნიშნები ოქრომკედული ვარსკვლავი და 4 რომბი ჟოლოსფერ შავკანტიან საყელოებზე და ოქრომკედული ვარსკვლავი სახელოზე.

ხმელეთისა და საჰაერო ძალების დანარჩენი სამხედრო პოლიტიკური შემადგენლობისათვის განსხვავების ნიშნები საყელოებზე (ოქროს კანტისა და ემბლემის გამოკლებით) წესდება კუთვნილი სამხედრო სახელწოდების მიხედვით, ხოლო სახელოზე წითელი ვარსკვლავი ნამგლითა და ჩაქუჩით.

დაწესებულია აგრეთვე განსხვავების ნიშნები სამხედრო-ტექნიკური, სამხედრო იურიდიული, სამხედრო-სამეურნეო ადმინისტრაციული, სამხედრო-სამედიცინო და სამხედრო-სავეტერინარო შემადგენლობისათვის. ყველა ამ პირისათვის განსხვავების ნიშნები კუთვნილი სახელწოდების მიხედვით წესდება საყელოებზე. სახელოზე ნიშნები მათ არ აქვთ.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამხანაგი სტალინი თავისი შვილებით—ვასოთი და ნათელათი.
გადაღებულია 1935 წ. ივლისში.

ახალი ტრაქტორებისა და ავტობუსის დათვალიერება ამხანაგების სტალინის, მოლოტოვის, ორჯონიკიძის, კაგანოვიჩის, ვოროშილოვის და მექლაუკის მიერ

გუშინ, 5 საათსა და 35 წუთზე, ამხანაგებმა ი. ბ. სტალინმა, ვ. მ. მოლოტოვმა, ს. ორჯონიკიძემ, ლ. მ. კაგანოვიჩმა, კ. ე. ვოროშილოვმა, ვ. ი. მეჟლაუკმა კრემლის მოედანზე დაათვალიერეს მძლავრი მუხლუხოვანი ტრაქტორების ახალი ნიმუშები და სტალინის სახელობის ავტოქარხნის ახალი ავტობუსი.

მოედანზე ჩამწკრივებული იყო ჩელიაბინსკის ქარხნის 3 დიზელ-მოტორიანი ტრაქტორი „სტალინეცი“, ავტოსატრაქტორო მრეწველობის სამეცნიერო - საგამოკვლევო ინსტიტუტის და ჩელიაბინსკის სატრაქტორო ქარხნის მიერ კონსტრუირებული სწრაფმავალი სატრანსპორტო ტრაქტორი „სტალინეცი“, სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნის 2 მუხლუხოვანი მისაბმელიანი ტრაქტორი, რომლებმაც ამ დღეებში დაამთავრეს გადასვლა სტალინგრად-მოსკოვის მარშრუტით, და მოსკოვის სტალინის სახელობის ავტოქარხნის ახალი კომფორტაბელური ავტობუსი.

ამხანაგები სტალინი, მოლოტოვი, ორჯონიკიძე, კაგანოვიჩი ვოროშილოვი, მეჟლაუკი ყურადღებით გაეცნენ საბჭოთა ავტოსატრაქტორო მრეწველობის ახალ ნიმუშებს. ისინი თვალყურს ადევნებდნენ ძლიერი ტრაქტორების მუშაობას. უზარმაზარი მანქანები სწრაფად და ადვილად მოძრაობდნენ, სრული სისწრაფით მიდიოდნენ, მოულოდნელად ჩერდებოდნენ, აჩერებდნენ მოტორებს და კვლავ დაუყოვნებლივ ამუშავებდნენ მათ.

ამხანაგებმა სტალინმა, მოლოტოვმა, ორჯონიკიძემ, კაგანოვიჩმა, ვოროშილოვმა და მეჟლაუკმა დიდის ყურადღებით და ინტერესით დაათვალიერეს სტალინის სახელობის ქარხნის საუცხოო, ჰაერმპობი ფორმის ახალი ავტობუსი.

ახსნა-განმარტებას ტრაქტორების და ავტობუსის მუშაობის შესახებ აძლევდა ავტოსატრაქტორო მრეწველობის მთავარი სამმართველოს უფროსი ამხ. დიბიცი.

„სტალინეცი—დიზელი“ და „სწრაფმავალი სტალინეცი“.

ასფალტზე მუხლუხოების გრუხუნით წინ მედიდურად მიდიოდა ეს უზარმაზარი ტრაქტორი.

სარკესავით ქრიალა ქვაფენილზე ჩაჩქრიდა მათი წითელი გალაქული კორპუსების ანარეკლი, ღია მძლავრი მოტორები ზანზარებდნენ და გუგუნებდნენ. მათ უკან ასეთივე გრუხუნით მიდიოდა კიდევ ერთი რუხი ფერის ბუმბერაზი. თავისი გარეგნული შეხედულებით ეს რაღაც საშუალო იყო ტრაქტორსა და სატვირთო მანქანას შორის. ტრაქტორისგან მანქანას მემკვიდრეობით მიუღია ფოლადის ფართო მუხლუხოვანი თათები, სატვირთო მანქანისაგან — ტვირთის დასადები ბაქანი, კაპოტით დახურული მოტორი, მოხერხებული შუშაბანდიანი კაბინა შოფერისათვის.

ამ ორი, ახლად შეღებილი და ლამაზი უზარმაზარი მანქანის უკან მიდიოდა უფრო ნაკლები სიდიდის ორი მუხლუხოვანი მისაბმელიანი ტრაქტორი.

ქუჩაში ასობით თავმოყრილი ადამიანები აღტაცებით შესცქეროდნენ მძლავრ მანქანებს. ეს იყო საბჭოთა ტექნიკის წარმატებათა ბრწყინვალე დემონსტრაცია.

პირველი მანქანები წარმოადგენდნენ ჩელიაბინსკის ქარხნის დიზელმოტორიან ტრაქტორის ახალ ნიმუშებს. მეორე მანქანა იყო ჩელიაბინსკის სატრაქტორო ქარხნის ახალი სწრაფმავალი სატრანსპორტო ტრაქტორი. მისაბმელიანი მანქანები, რომლებიც მათ მიჰყვებოდნენ, იყვნენ სტალინგრადის ქარხნის ცნობილი მუხლუხოვანი ტრაქტორები, რომლებმაც თავიანთი საუცხოო ღირსება გვიჩვენეს ამასწინათ სტალინგრად-მოსკოვის მარშრუტით გადასვლისას. მანქანები კრემლის ჭიშკარში შევიდნენ.

* * *

მიმდინარე წლის დამდეგს მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარმა ამხ. **ორჯონიკიძემ** წინადადება მისცა ავტოსატრაქტორო სამეცნიერო ინსტიტუტს დაეპროექტებინა, ხოლო ჩელიაბინსკის სატრაქტორო ქარხანას — გამოეშვა მძლავრი დიზელმოტორიანი ტრაქტორი. სამისოდ სახალხო კომისარმა დანიშნა ექვსი თვე, რაც ასეთი ამოცანის შესასრულებლად უმაღლესად მცირე ვადას წარმოადგენდა.

მაგრამ აი განვლო ავტოსატრაქტორო სამეცნიერო ინსტიტუტის კონსტრუქტორთა ბრიგადის დაძაბული მუშაობის სამმა თვემ (ბრიგადას ინჟინერი ა. ვ. **ლებედევი** ხელმძღვანელობდა) და ჩელიაბინსკის სატრაქტორო ქარხნის საამქროებში არანაკლებ დაძაბული მუშაობის სამმა თვემ და ზუსტად დანიშნულ ვადაზე ქარხნის კარიბჭიდან გამოვიდა პირველი „სტალინეცი — დიზელი“. მისი მოტორი 75—ცხენის ძალიანი იყო. იგი მარტივი იყო მოსავლელად და არ მოითხოვდა ძვირად ღირებულ მაღალხარისხოვან სათბობს. ჩელიაბინსკის ჩვეულებრივ ტრაქტორზე 40 პროცენტით ნაკლებ საწვავ მასალას ხარჯავდა, ხოლო ამ მასალის ღირებულება 75 პროცენტით იაფი იყო. ამრიგად, ეფექტი უდიდესი გამოვიდა.

ჩელიაბინსკის სატრაქტორო ქარხანამ ახლა გამოუშვა 5 პირველი „სტალინეცი — დიზელი“. 1936 წელს გამოუშვებს ათას ასეთ ტრაქტორს, ხოლო 1937 წელს იგი მთლიანად გადავა მძლავრი დიზელიანი მანქანების წარმოებაზე.

ამავე დროს ინსტიტუტის საცდელ საამქროებში დაამზადეს სწრაფმავალი სატრანსპორტო ტრაქტორი. ინჟინერ სლონიმსკის ბრიგადამ მხოლოდ მცირეოდენი ცვლილებები შეიტანა ჩელიაბინსკის ქარხნის ჩვეულებრივი ტრაქტორის კონსტრუქციაში. მისი დეტალების 90 პროცენტი წინანდელი დარჩა. მაგრამ ნიჭიერმა კონსტრუქტორებმა ტრაქტორი დააყენეს რეზინებზე, გაადიდეს მოტორის ბრუნვათა რიცხვი, შეცვალეს ზოგიერთი დეტალი და ამით მიაღწიეს იმას, რომ „სტალინეცის“ სიმძლავრემ 60 ცხენის ძალიდან 110—115 ცხენის ძალამდე იმატა, ხოლო სისწრაფემ 5—7 კილომეტრიდან 20-ზე მეტ კილომეტრამდე. ასეთ ტრაქტორს, რომელიც ანგარიშს არ უწევს დაბრკოლებებს და გზის ღირსებას, ავტომობილის სისწრაფით მიაქვს 6. 8 ტონა ტვირთი და ზოგჯერ 10 ტონაც კი. მთელ ამ შესანიშნავ საკონსტრუქტორო მუშაობას ავტოსატრაქტორო ინსტიტუტმა სულ რაღაც ხუთიოდე თვე მოანდომა.

ისეთივე ტიპის ავტობუსი, როგორიც გუშინ კრემლში უჩვენეს, ამასწინათ, ოქტომბრის დღესასწაულის დღეებში, გამოფენილი იყო ნოგინის მოედანზე, მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის შენობასთან. ასი ათასობით მოსკოველები ათვალიერებდნენ მაშინ ამ საუცხოო ცისფერ მანქანას, აღტაცებული იყვნენ მისი არაჩვეულებრივი, მოხდენილი ჰაერმპობი ფორმით, სარკის მინებით. საერთო გარეგნული გამშვენებით.

„ლუქსის“ ტიპის ეს ავტობუსი გამოშვებულია სტალინის სახელობის ქარხნის მიერ ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. მას აქვს გაუმჯობესებული სიგნალიზაცია, ავტომატურად გასაღები და დასახურავი კარები, გასათბობი მოწყობილობა. შიგნით იგი დიდი გულმოდგინებით და გემოვნებით არის გაწყობილი. ყველაფერი გათვალისწინებულია იმისათვის, რომ მგზავრი კარგად გრძნობდეს თავს. (ადს).

კამათი თემთა პალატაში იტალია-აბისინიის კონფლიქტის საკითხზე

ლონდონი, 10 დეკემბერი. რეიტერის სააგენტოს გადმოცემით, თემთა პალატაში, მეფის სეფე-სიტყვის საპასუხოდ პალატის მიმართვის განხილვასთან დაკავშირებით, გაიმართა კამათი იტალია-აბისინიის კონფლიქტის საკითხზე. ლეიბორისტმა ლის-სმიტმა განაცხადა, თუ გაზეთების ცნობები იტალია-აბისინიის კონფლიქტის მოგვარების პროექტის შესახებ სანახევროდ მაინც მართალია, ეს პროექტი ერთა ლიგის წესდებას ეწინააღმდეგება.

მინისტრმა იდენმა განაცხადა. მთავრობა ერთა ლიგის ჩარჩოებს არ სცილდება. ყოველგვარი წინადადება, რომელიც შეიძლება წამოყენებულ იქნას პარიზში გამართული საუბრების შედეგად — განაცხადა იდენმა — მისაღები უნდა იყოს ერთა ლიგისა, იტალიისა და აბისინიისათვის.

„სამი ძირითადი პრინციპი, — განაცხადა იდენმა, — რომლებსაც ემყარება წინადადებები. მდგომარეობს შემდეგში: 1. ტერიტორიების გაცვლა, რაც გარკვეულ სარგებლობას აძლევს ორივე მხარეს. 2. ერთა ლიგის მიერ აბისინიისათვის დახმარების გაწევა სოციალური. ეკონომიური და ადმინისტრატიული განვითარების დარგში. 3. ვადასახლებულ იტალიელებისა და იტალიის კომპანიებისათვის სპეციალური შეღავათების მინიჭებს ქვეყნის ეკონომიური განვითარების მიზნით.

იდენის სიტყვით, ბევრ საგაზეთო ცნობებში დაშვებულია არსებითი შეცდომები, სხვა ცნობები ერთმანეთს ეწინააღმდეგება.

პარიზის წინადადებანი სავალდებულოდ როდი ხდიან საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობათა თვალსაზრისს, მაგრამ ისინი წარმოადგენენ იმ პირობებს, რომლებიც, საუბრების მონაწილეთა აზრით, საშუალებას მისცემდნენ მხარეებს შეკრებილიყვნენ. ეს არის წინადადებათა მთელი აზრი. ჩვენ არ ვცდილობთ თავს მოვახვიოთ ვისმე პირობები.

შემდეგ იდენმა აღნიშნა, რომ იმ მეცადინეობის განსავითარებლად. რომელსაც პარიზში მიმართავდნენ. საჭირო იყო მეტი სიზუსტის გამოჩენა და ამიტომ პარიზის წინადადებანი ითვალისწინებენ ტერიტორიების გაცვლა-გამოცვლის დეტალებს. „ამბობენ, — განაგრძობს იდენი,— მთავრობის მიერ ამჟამად გადადგმული ნაბიჯები ერთა ლიგის წესდების პრინციპებს ეწინააღმდეგებაო. ეს რომ ასე ყოფილიყო. მაშინ, ცხადია, ეს უნდა ეთქვა ერთა ლიგას (ტაში მთავრობის სკამებზე). თუ ერთა ლიგა ასე იტყვის. ჩვენ არ წამოვაყენებთ არავითარ საჩივარს. ჩვენ გამოვსთქვამთ მზადყოფნას მივიღოთ ლიგის გადაწყვეტილებანი, ისე როგორც გამოვსთქვით მზადყოფნა შევიტანოთ ჩვენი წვლილი ამ უაღრესად რთული ამოცანის შესრულების საქმეში“.

დასასრულ, იდენმა აღნიშნა, რომ იგი ხვალ მიემგზავრება ჟენევაში, სადაც მრავალი ქვეყნიდან ჩამოსულ კოლეგებთან ერთად განიხილავს შექმნილ რთულ მდგომარეობას.

ოპოზიციონერმა ლიბერალმა გრიფიტმა იმედი გამოსთქვა, რომ „ლიგა არ შეუდგება იმ გამარჯვების ნადავლის გაყოფას, რომელიც ჯერ კიდევ არ არის მიღწეული“.

ვეჯვუდის და სეიმურ-კოქსის გამოსვლების შემდეგ პრემიერმა ბოლდუინმა განაცხადა, რომ მთავრობას განზრახული არა აქვს შეთანხმების საფუძველი თავზე მოახვიოს ერთა ლიგას, იტალიას ან აბისინიას, თუ მათ ეს არ სურთ.

შემდეგ ბოლდუინმა განაცხადა. ნავთის სანქციების გამოყენების საკითხი უაღრესად გართულებულია, იტალიისათვის ნავთის მიწოდების ასაკრძალავად საჭიროა დარწმუნებული ვიყოთ იმაში, რომ აკრძალვა ეფექტიური იქნება.

მეფის სეფე სიტყვის საპასუხო მიმართვის ტექსტი მიღებულ იქნა 281 ხმის უმრავლესობით 139 ხმის წინააღმდეგ (ადს).

როგორ ჩამოყალიბდა დიდი ბელადი

მოგონებანი ამხანაგ სტალინის მუშაობაზე პირველი რევოლუციის პერიოდში

გ. პარკაძე

ამხანაგი სტალინი სემინარიაში

ტფილისის სასულიერო სემინარია, სადაც 1894—1899 წლებში სწავლობდა სოსო ჯუღაშვილი და სადაც მე პირველად გავიცანი ის, განსაკუთრებული ხასიათის სასწავლებლად ითვლებოდა. ის დაარსებული იყო მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე სასულიერო წოდების დასაყრდენს წარმოადგენდა.

სოსომ გორის სასულიერო სასწავლებელი პირველ მოწაფედ გაათავა და ჩარიცხულ იქნა ტფილისის სემინარიის პირველ კლასში 1894 წელს. ეს წელი სემინარიელთა ცხოვრებაში არაჩვეულებრივი გამოდგა. იმ დროს არა თუ ახლებს, ძველებსაც ხელმეორედ იღებდნენ სემინარიაში. საქმე შემდეგში იყო: როგორც ცნობილია, 1893 წლის ნოემბრის დამლევს სემინარიაში მოწაფეთა დიდი არეულობა მოხდა. მთელი 1893—94 სასწავლო წელი სემინარია დაკეტილი იყო. შავ მანტიაში გახვეული ბერები, იმის შიშით, რომ მოწაფეებს სემინარიაში, ან ქალაქში არ მოეწყოთ კრებები და თათბირები, ჟანდარმერია — პოლიციის დახმარებით, ტფილისიდან ძალით ერეკებოდნენ მოწაფეებს სოფლებში.

სემინარიას პოლიციის გაძლიერებული რაზმი იცავდა. სასწავლებლის შენობაში გამოკრული იყო განცხადება სწავლის შეწყვეტის შესახებ. სემინარიიდან სამუდამოდ დათხოვნილ იქა 87 მოწაფე. ურჩ და გაუგონარ მოწაფეებს მთავრობის აგენტები ქუჩაში იჭერდნენ და ძალით ასახლებდნენ ქალაქიდან. სემინარიის ადმინისტრაცია იჩქაროდა მოესპო და გაენადგურებია არეულობის ჩანასახი. ამიტომ იყო, რომ სემინარიაში დატოვებულ მოწაფეებსაც ხელმეორედ უნდა მიეცათ თხოვნა სასწავლებელში მისაღებად.

14—15 წლის სოსო მიღებულ იქნა ასეთ სასწავლებელში, სადაც წინა წელს მოწაფეთა დიდი არეულობა მოხდა. ამ დროს დაარსდა სემინარიაში „ბურსა“. ადგილობრივ, ტფილისში მცხოვრებ მოწაფეებს თუ სხვა კუთხეებიდან მოსულთ, — ყველას უნდა ეცხოვრა შიგ სემინარიაში, საერთო ბინაზე.

ამნაირად, 300—500 მოზარდი ახალგაზრდა ბერების ხელში ჩაცვივდა, მოსწყდა ქვეყანას. გაძნელდა ქალაქში სიარული. ვაი იმათ, ვინც გარეთ გამსული, დანიშნულ დროზე არ დაბრუნდებოდა. — კარცერი და ყოფაქცევაში ნიშნის დაკლება არ ასცდებოდა მას. ერთხელ ჩაიწერებოდა ე. წ. „კონდუიტში“, ხოლო მეორედ უკვე სასწავლებლიდან გააძევებდნენ. ყველაფერში მოწაფეს თავს დასტრიალებდა ბერების მზვერავი თვალი. სემინარიელს სასტიკად ჰქონდა აკრძალული ქალაქში და ბიბლიოთეკებში სიარული, წიგნებისა და გაზეთების კითხვა. ჟურნალ-გაზეთებში თანამშრომლობას ხომ, აბა, ვინ გაბედავდა! სემინარიელს აკრძალული ჰქონდა თეატრსა და წარმოდგენებზე სიარული. სამაგიეროდ, დილით, გაღვიძებისას, ჩაისა და სადილობისას, სწავლის დაწყება-გათავებისას, ღამით დაწოლის დროს სემინარიაში მოწაფეები წირვა-ლოცვაზე უნდა მდგარიყვნენ.

სემინარიაში იმთავითვე არსებობდა მოწინავე მოწაფეთა ჯგუფი, რომლის სული და გული იყო სოსო. ჯგუფში შედიოდნენ: სოსო, მიშა დავითაშვილი, გიგუცა პარკაძე, გრიშა გლურჯიძე, ვალიკო კასრაძე, სიმონ ნატროშვილი, არჩილ დოლიძე, ვასო ხახანაშვილი, ი. ირემაშვილი.

ამ ჯგუფმა დაიწყო სისტემატური მეცადინეობა წინასწარ შემუშავებული გეგმით და პროგრამით. სემინარიაში ჩუმად მიდიოდა სხვადასხვა ლიტერატურა, ნებადაურთველი ჟურნალ-გაზეთები, რომელიც ხელიდან ხელში გადადიოდა. გაჩნდა ცნობილი სოციოლოგის ლიპერტის წიგნი «История культуры», შარლ ლეტურნოს ეთნოგრაფიული შრომა „Социология“. ეს ორი ნაწარმოები საზოგადომეცნიერების დარგში ბევრ ახალ აზრს აწვდიდა გამოფხიზლების გზაზე შემდგარ მოზარდ თაობას. მოწაფეთა ერთი ნაწილი გატაცებით კითხულობდა ამ წიგნებს და ყველა ღირსშესანიშნავ ადგილს იმახსოვრებდა.

მალე წრეში დარვინის წიგნებიც გაჩნდა. მოწაფეთა ერთმა ნაწილმა გულმოდგინედ დაიწყო მისი შესწავლა. დარვინიზმის შეთვისებას რამდენიმე პოპულარულ გამოცემაში მოთავსებული წერილების შესწავლა უძღოდა წინ.

ბიოლოგიაში სოსო მარტივ უჯრედთა თვისება - განვითარების საკითხმა გაიტაცა, რადგან ამ საკითხს დარვინის თეორიაში საკმაოდ დიდი ყურადღება ექცეოდა.

მეცადინეობა ორი მიმართულებით მიდიოდა: პირველს ხელმძღვანელობდა ამხ. სტალინი, ხოლო მეორეს — სეით დევდარიანი, რომელიც წლოვანებით ჩვენზე უფროსი იყო და უფროს კლასში სწავლობდა. სემინარიელთა მოწინავე ჯგუფი საბოლოოდ საიდუმლო, არალეგალურ მუშაობაზე გადავიდა. პირველი ფარული კრება მოხდა ა.-კ. რკინიგზის ლიანდაგის ახლოს, არსენალთან. აქაც და შემდეგ რამდენიმე კრებაზე სეით დევდარიანი ვრცელი მოხსენებით გამოდიოდა. ის მომხრე იყო ჯგუფში მხოლოდ აკადემიური ხასიათის მეცადინეობისა. მეცნიერება მეცნიერებისათვის, — არც მეტი, არც ნაკლები. მშრალი, დილეტანტური, განყენებული ხასიათის მეცადინეობა არაფერს ეუბნებოდა ბრძოლის სურვილით აღჭურვილ ახალგაზრდობას. ამიტომაც სოსო დიდი თავგამოდებით წინაღუდგა სეით დევდარიანის ამ მოსაზრებას. საკვირველი კონტრასტი აღმოჩნდა ამ ორ მოპირდაპირეს შორის: ერთი მხრით ახალგაზრდა სტალინი, რომელიც თავის თავში ძლივს იკავებდა მებრძოლის ჟინს, რომლის გულისყური და მისწრაფება ყოველი მიმართულებით მუშათა კლასის განთავისუფლებისაკენ მიისწრაფოდა, — და, მეორე მხრით, მოდუნებული სეით დევდარიანი! ცხადია, ცეცხლი და წყალი ერთად ვერ მოთავსდებოდა და ბრძოლაც გაჩაღდა. სტალინი მოითხოვდა, რომ ჯგუფის სამეცადინო პროგრამაში აუცილებლად შეეტანათ სოციალიზმი, მუშათა საკითხები, ეკონომიური მეცნიერება, სოციოლოგია, რევოლუციური მოძრაობის ისტორია, საბუნებისმეტყველო მეცნიერება და სხვა, რაც შეეხება მხატვრულ ლიტერატურას, სტალინი, ფრიად დიდ მნიშვნელობას აძლევდა მას, მაგრამ პარალელურად მოითხოვდა ამა თუ იმ მოვლენათა წარმოშობისა და განვითარების მარქსისტულად შესწავლა-შეთვისებას.

მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა, წრეში მუშაობა მაინც არა სწყდებოდა. წაკითხული წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების შეთვისებასთან ერთად სტალინის მარქსისტულ წრეში დიდი ყურადღება ექცეოდა თვითეული წევრის ყოფაცხოვრებას, იმის თვითგანვითარებას. ამის საუკეთესო ნიმუშს თვით სოსო იძლეოდა. ჩვენ თვალწინ იზრდებოდა და ვაჟკაცდებოდა ნებისყოფით, ხასიათის სიმტკიცით, ღრმა დაკვირვებით— ეს, მართლაც, არაჩვეულებრივი ბუნების ადამიანი!

შეუდარებელი პირდაპირობით იცოდა მან ორაზროვნებისა და სიყალბის მხილება, გამოაშკარავება, ხოლო თავისი გულწრფელობით და ადამიანობით იპყრობდა ყველას, ვისაც სიმართლე ეინტერესებოდა. რევოლუციური გატაცებით უყვარდა მას ახალი აზრი, ახალი სიტყვა, რომელიც მუშათა კლასის გამარჯვებას ემსახურებოდა. მაგრამ ყველა ნათქვამი, ან დაწერილი ჭეშმარიტებად არ მიაჩნდა. ამიტომ იყო, რომ სტალინი საზოგადოებრივ-პოლიტიკური საკითხების გადაჭრაში მუდამ დიდ ტაქტსა და გამჭრიახობას იჩენდა.

ამხანაგებს შორის სემინარიაში ერთთავად მსჯელობა, კამათი იყო. ის, რაც გარეთ ქალაქში, ფაბრიკა-ქარხნებში, ქუჩებზე ხდებოდა — ელვის სისწრაფით გადადიოდა მოწაფეებში, მაგრამ არც ერთი საკითხი, არც ერთი მოვლენა არ დარჩებოდა გახხილული, რომ სოსოს თავისი აზრი არ გამოეთქვა და საკვირველი გამჭრიახობით არ განემარტა მისი ძალა და მნიშვნელობა.

სემინარიაში 1898—1899 წლებში დაარსდა მეორე მარქსისტული წრე. ისევ ი. სტალინის ხელმძღვანელობით. წრეში შედიოდნენ გიორგი ელისაბედაშვილი, სოკო ალიმბარაშვილი, დავით სულიაშვილი, დიმიტრი გურგენიძე, ვასო ბერძენიშვილი, პორფირე ეფრემიძე, დავით ღამბაშიძე, ვიქტორ ღლონტი და სხვ.

ამ წლებში ხდება, როგორც უფროსი, ისე უმცროსი კლასის მოწაფეთა ცალ-ცალკე ჯგუფებად დაყოფა-დანაწილება. რევოლუციურად მოაზროვნე ახალგაზრდობის დიდი ნაწილი ი. სტალინის მომხრე და მიმდევარი აღმოჩნდა. ხოლო მეორე, მცირე ნაწილი სეით დევდარიანს მიემხრო.

1899 წელს ი. სტალინი დაითხოვეს სემინარიიდან. ამ დროს ის უკვე მეხუთე კლასის მოწაფე იყო. მას საშუალო სასწავლებლის რვაკლასიანი კურსი დასრულებული ჰქონდა და მხოლოდ ე. წ. „ფილოსოფიურ“ განყოფილებებს ათავებდა. დათხოვნამდე თითქმის ერთი წლის წინათ, სტალინმა გაკვეთილების მომზადებაზე სრულიად ხელი აიღო. მთელ თავისუფალ დროს ის მარქსის შესწავლას ანდომებდა. კლასიდან კლასში გადასასვლელად წლის ბოლოს გამოცდებისათვის ემზადებოდა და მაინც ოთხებს და ხუთებს იღებდა. მეხუთე კლასელი სტალინი შენიშნული იყო აკრძალული წიგნების კითხვაში. ერთხელ თუ ორჯერ მას უპოვნეს კიდეც ეს წიგნები და ბოლოს სემინარიის სამოსწავლო საკრებულოს დადგენილებით სრულიად დაითხოვეს სასწავლებლიდან. მაგრამ ამ დროს სტალინი უკვე დიდი ხანია სემინარიას აღარ ეკუთვნოდა.

1898 წელს, ის უკვე ს.-დ. პარტიაში იყო შესული. ამიერ-კავკასიის მთავარ სახელოსნოში მას მოწინავე მუშების მარქსისტული წრე ჰყავდა, ამ წრეში შედიოდნენ: დათიკო ლორთქიფანიძე, გიორგი ნინუა, სანდრო მერაბიშვილი (კურიერი), ექვთიმე სართანია, გიორგი თელია და სხვები.

1898 წელი საინტერესო იყო სხვა მხრივაც. ამ წელს გაზეთი „კვალი“ ქართველი ლეგალური მარქსისტების ხელში გადავიდა. მის ფაქტიურ რედაქტორად გახდა ნოე ჟორდანია. ჟორდანიამ თავის გარშემო შემოიკრიბა ე. წ. „მესამედასელთა“ დიდი უმრავლესობა. „კვალის“ მესვეურთ ნ. ჟორდანიას და მის მიმდევრებს ძალიან მოსწონდათ გაზეთში თანამშრომლობა, პუბლიცისტობა, სახელი და დიდება. მათ დაივიწყეს რევოლუციური მუშაობა ფაბრიკა - ქარხნებში, ლეგალობამ არალეგალობა გადაყლაპა. რევოლუციური მარქსიზმი უარყოფილ იქნა. ჟორდანია და კამპანია ფიქრობდა ცენზურის პირობებში ემუშავა და ემოქმედა. მაგრამ ასე არ ფიქრობდა ი. სტალინი. ის ყველაზე უკეთესად ხედავდა, რომ მუშათა კლასს მხოლოდ რევოლუციური მარქსიზმის თეორიისა და პრაქტიკის შეთვისებით შეეძლო დაეძლია მტერი. და ამიტომ სტალინი სემინარიიდან დათხოვნის პირველ დღიდანვე თავგანწირულ რევოლუციურ ბრძოლაში გადაეშვა. მან რევოლუციონერთა რიგები წესრიგში მოიყვანა, პროპაგანდისტ - ორგანიზატორები საჭიროებისამებრ გაანაწილა, მუშათა წრეებში მეცადინეობას სისტემატური ხასიათი მისცა და ამნაირად, საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში მტკიცედ ნიადაგი ჩაუყარა ბოლშევიზმს.

ვანო ჩიასაშვილი

ძველი მუშა

გვასწავლიდა სიმტკიცეს და შეუპოვრობას

ამხ. სოსო ჯუღაშვილი გავიცანი 1896 წლის დამლევს. ეს ის დრო იყო, როცა ტფილისში ჩამოყალიბდა მუშათა ორი ძირითადი არალეგალური წრე. ეს პირველი წრეები იყო მუშებისაგან შედგენილი, რომელთა მეცადინეობას საფუძვლად დაედო მარქსიზმის თეორია. დასახელებულ წრეებში ვმეცადინეობდით: ზაქრო ჩოდრიშვილი, ვანო სტურუა, მიხა ბოჭორიძე, გიორგი ჩხეიძე, არაქელა ოქუაშვილი, კალისტრატე გოგუა, ილიკო კობალეიშვილი, დათიკო როსტომაშვილი, მე და სხვ.

ამ მუშათა წრეების პარალელურად და დამოუკიდებლად ტფილისში დაარსდა მოსწავლეთა მარქსისტული წრე, რომელშიაც ხელმძღვანელ როლს თამაშობდა ამხ. სოსო ჯუღაშვილი. მათ ეჭვით იცოდენ ჩვენი მუშათა წრის არსებობა, და ცოტა გვიან კავშირი დაამყარეს ჩვენთან.

1901 წლიდან ჭიათურაში გადავედი სამუშაოდ

1901 წლის შემდეგ ამხ. სოსოს შევხვდი 1905 წლის ზაფხულში ჭიათურაში, ეს იყო პერიოდი აბობოქრებული მუშათა მოძრაობისა და ამავე დროს ბოლშევიკების და მენშევიკების შორის საბოლოო გათიშვისა.

აი ამ დროს მოგვევლინა ჩვენ ამხანაგი სოსო (კობა). ეს იყო 1905 წლის ივლისში. ჩვენი ამხანაგებიდან ამხ. სოსოს პირადად ვიცნობდით მე, გოგუცა პარკაძე და მიშა დავითაშვილი. მისმა ჩამოსვლამ აღგვაფრთოვანა. ამხ. სტალინთან ერთად ჭიათურაში სადისკუსიოდ ჩამოვიდნენ გრიშა ლორთქიფანიძე, ისიდორე რამიშვილი, ემილ სირბილაძე და მთელი „შტაბი“ მენშევიკებისა.

უპირველეს ყოვლისა, ამხანაგმა სოსომ დაწვრილებით გაგვაცნო ჩვენ ორგანიზაციის ბოლშევიკური პრინციპს, პარტიაში არსებული ფრაქციული წინააღმდეგობა მთელს რუსეთსა და ამიერ-კავკასიაში, გადმოგვცა შესაფერი ლიტერატურა. ამის შემდეგ დაიწყო დისკუსიები სხვადასხვა რაიონში. მენშევიკების ჩამოსული „შტაბი“ და განსაკუთრებით ადგილობრივი ძირითადი მომუშავეები არავითარ საშუალებას არ ზოგავდნენ, რომ ხელში ჩაეგდოთ ჭიათურის მნიშვნელოვანი პოზიციები. არ ერიდებოდნენ არც დემაგოგიას, არც პროვოკაციას და არც ძალადობას.

მაგრამ ყველა ეს ამაო გამოდგა სოსოს ფოლადის ნებისყოფასთან, მის რკინის ლოგიკასთან. ამიტომაც იყო, რომ 1905 წლის რევოლუციის დროს ჭიათურა წარმოადგენდა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბოლშევიკურ სიმაგრეს.

რევოლუციური მოძრაობა დღითიდღე ვითარდებოდა და ღრმავდებოდა. აქ ამხანაგმა სოსომ ჩვენი ფრაქციის წინაშე მთელი სიგრძე-სიგანით დააყენა შეიარაღებული აჯანყების აუცილებლობის საკითხი სპეციალური წინასწარი გაწვრთნილი რაზმების მეთაურობით, რომელნიც თან გაიყოლიებდნენ დანარჩენ მასებს. სოსოს თაოსნობით შევუდექით ჭიათურის ბოლშევიკური რაზმის ორგანიზაციას. რაზმის ინსტრუქტორად და შემდეგში უფროსად ორგანიზაციამ, ამხ. სოსოს მითითებით, მე დამნიშნა. ამ რაზმმა გადამჭრელი როლი ითამაშა ოქტომბრის და დეკემბრის ბრძოლებში მთავრობის ჯარებთან. განიარაღებული იქმნა მთელი შორაპნის მაზრის შეიარაღებული პოლიცია განიარაღებული და ტყვედ წაყვანილი იქნენ ზესტაფონში და ხარაგოულში დაბანაკებული ორი როტა ტენგინის პოლკისა, აღებულ იქმნა ზესტაფონის ხაზინა 215.000 მანეთის ხელში ჩაგდებით და სხვ.

ამხ. სოსო ხშირად წავიდოდა ხოლმე ჭიათურიდან ბათომში, ტფილისში და ბაქოშიც, სადაც გაცხარებულ ბრძოლას ეწეოდა მენშევიკებთან.

1905 წელს ამხ. სტალინი იყო უდაო ბელადი ბოლშევიკური ორგანიზაციების მთელ ამიერ-კავკასიაში.

უკანასკნელად ამხ. სტალინს შევხვდი 1909 წელს ტფილისში, სადაც ის მოკლე ხნით იყო ჩამოსული აუცილებელ პარტიულ საქმეებზე. მისი ტფილისში ყოფნა, რასაკვირველია, არალეგალური იყო, ვინაიდან მას მეფის ჟანდარმერია და ოხრანკა ფეხდაფეხ სდევდა. ამ დროს ის თავს იფარავდა ფასანაურის ქუჩაზე ამხ. გიგუცა პარკაძის ბინაზე. იმავე სახლში პარკაძის მეზობლად ვცხოვრობდი მეც. მე და ამხ. პარკაძე ვდარაჯობდით და თვალყურს ვადევნებდით შპიკებს რომლნიც ჩვენი სახლის გარშემო ირეოდნენ. ამხ. სოსო მალე გადავიდა ბაქოში და პირში ჩალაგამოვლებული დასტოვა ოხრანკის და ჟანდარმერიის დაგეშილი მეძებრები.

ნახატი კ. ბრძოლიშვილსა.



ამხ. სტალინი—ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელი 1907—10 წ.

გ. ელისაბედაშვილი

ამხანაგი სოსო ბათომში*)

დაიწყო 1902 წელი. მე და დათიკო ღამბაშიძე სემინარიიდან გამოსვლისთანავე დავბინავდით ამხ. ალექსანდრე სვანიძის დების სახლში, ამაღლების ქუჩაზე. ამ დღიდან ჩვენი ოთახი იქცა ამხანაგების შესახვედრ და შესაკრებ ალაგათ. ჩვენთან თავს იყრიდნენ ყველა ის ამხანაგები, რომელთაც სასწავლებლებისათვის თავი ჰქონდათ დანებებული და შეუდგომოდნენ არალეგალურ რევოლუციურ მუშაობას.

ამ პერიოდში ჩვენგან ჩამოყალიბდა პროპაგანდისტების ჯგუფი, რომელმაც შემდეგში, რევოლუციური მოძრაობის დროს, ითამაშა საგრძნობი როლი. ჯგუფში შედიოდნენ: მე, დავით ღამბაშიძე, დავით სულიაშვილი, ალექსანდრე სვანიძე, გიორგი ვარდოიანი, არშაკ იაგუბოვი, გიგო პარკაძე, დიმიტრი გურგენიძე და სიმონ პეტროსიანი (კამო).

ჩვენი წრის ბიჭებს ყველას მეტი სახელი ერქვა და ამიტომ მათი ვინაობის გაგება უცხოსათვის ძნელი იყო. ამხანაგი სოსო ყველა ამათ კარგათ იცნობდა და ყველას თავისებურათ ხელმძღვანელობდა: კამო ასრულებდა საკავშირო დავალებებს, ხელმძღვანელობდა ჩვენს მეცადინეობას მუშათა წრეებში. ა. სვანიძე და როსტომა ითვლებოდნენ ჩვენ წარმომადგენლებად ტფილისის კომიტეტში, დ. ღამბაშიძე ბეჭდავდა ფურცლებს მამის სტამბაში (ზესტაფონში) და სხვ.

მას შემდეგ, რაც ამაღლების ქუჩაზე არსებული ბინა ჯაშუშებისათვის შეიქმნა ცნობილი, ჩვენ შევიქენით იძულებული მოგვეძებნა ახალი ბინა, სადაც მეტი შესაძლებლობა გვექნებოდა შეკრებისა და მუშაობისაც. ასეთი ბინის გამოძებნა დავავალეთ ამხანაგ კამოს. კამომ ასეთ ბინად მიიჩნია თავისი დეიდის ბინა. მისი დეიდა სცხოვრობდა აბანოსუბნის მოედანთან, იმას ეკავა ოთხი ოთახი, რომელთაგან ერთი დაგვითმო ჩვენ. ამ ბინაზე გადავედით საცხოვრებლათ მე, ღამბაშიძე და კამო. ეს ოთახი მეტად მოხერხებულ ალაგას იყო. ოთახს ქვეშ ჰქონდა სარდაფი და ამ სარდაფში ვინახავდით წიგნებსა და სხვა და სხვა ნაწილებს სტამბის მოსაწყობათ.

სოსო ამ ხანით, ე. ი. 1901 წლის ბოლოდან, თბილისში აღარ იყო. ის იყო წასული ბათომში სოც. დემოკრატიული ორგანიზაციის დასაარსებლად. იმ ჟამათ ბათომში იმყოფებოდენ ისიდორე რამიშვილი და კარლო ჩხეიძე, მაგრამ ისინი კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდნენ და გაურბოდნენ მუშათა წრეებში მეცადინეობას. სოსომ ამოირჩია ბათომი ორი მოსაზრებით: ერთი იმიტომ, რომ აქ მუშები სრულიათ უპატრონოთ (უხელმძღვანელოთ) იყვნენ მიტოვებული და მეორე იმიტომ, რომ ფიქრობდა აქედან ზეგავლენა მოეხდინა გლეხობაზე და ისიც ჩაეთრია რევოლუციურ ბრძოლაში. ყველა ეს მოსაზრებანი გამართლდნენ ასწლით: ბათომი გამოიცვალა, გაიზარდა მუშათა მოძრაობა და მას გაჰყვა გურული გლეხკაცობაც.

ამხ. სოსო ბათომიდან ხშირათ ჩამოდიოდა თბილისში. იგი მოდიოდა ხოლმე ჩვენთან. გვებულობდა აქაურ ამბებს, იძლეოდა დარიგებებს, და ისევ ბრუნდებოდა უკან. სოსოს დარიგება ჩვენთვის მეტათ საჭირო იყო. თბილისის კომიტეტში თავი ჰქონდა მოყრილი ისეთ პირებს, როგორიც იყო, მაგალითად, დ. ხართიშვილი („მოხევი“), რომელიც იწეოდა მუშებში საზიზღარ პროვოკაციას, დიდ უნდობლობას სთესავდა მუშებს შორის და „ზუბატოვისებური“ სიტყვებით ამასპინძლდებოდა. ეს კაცი ერთხელ იქამდისაც კი მივიდა, რომ პროკლამაცია, რომელიც ჩვენი წრის მიერ იყო დაწერილი და დაბეჭდილი თანახმად თბილისის კომიტეტის დასტურისა, დასწვა.

მახსოვს სოსო როგორ გაჯავრებული იყო, როდესაც გაიგო ჩვენთან მოსულისაგან ტფილისის ამბები. ის საშინელ ცუდი სიტყვებით იხსენიებდა მოხევს. მისი აზრით, ის კაცი უსაზღვრო ინტრიგანი იყო და იძახოდა, რომ მისგან კარგს არასოდეს არ უნდა მოველოდეთო.

მაისის რომელი რიცხვი იყო, არ მახსოვს. მახსოვს, რომ ჩამოვიდა ჩემთან მამა ჩემი და მითხრა: „სოფელში ჩემთან მოვიდნენ ჟანდარმები. გკითხეს შენ, მე არ უთხარი შენი ბინის ნომერი და ქუჩა, რა უნდოდათ—არ ვიცი, არ მითხრეს. შევატყე, რომ მოგძებნიან და, თუ რამე გვქონდე, გაფრთხილდი“-ო. ეს ამბავი ჩემთვის მოულოდნელი და გაუგებარი იყო. ვიძახოდი: თუ ჟანდარმებს რამე უნდათ ჩემგან, რაღა სოფელში წავიდნენ, რატომ აქ არ მომიკითხეს. ამაზე ვიმსჯელეთ ამხანაგებმა კარგა ხანს, მაგრამ ვერაფერი დასკვნა ვერ გამოვიტანეთ. ჩვენთვის ცხადი იყო ერთი რამ, ეს ის, რომ მე მეძებენ და დღეს თუ ხვალ მიპოვიდენ და დამიჭერდენ.

გავიდა ხუთიოდე დღე. ამხანაგები გაფრთხილებული გვყავდა და ამ ჟამად ჩვენთან არავინ არ დაიარებოდა. მივმალ-მოვმალეთ რაც გვქონდა აკრძალული და მაგიდაზე დავტოვეთ უვნები ლიტერატურა, როგორიც იყო მაგალითად — „მუშათა საკითხი“. ტუგან-ბარანოვსკის „რუსული ფაბრიკა“ პატარა ლექსები და ზოგიერთი სახელმძღვანელო.

ერთ დღეს მე, ღამბაშიძე და სულიაშვილი წავედით აბანოში და რადგანაც კამო არ წამოვიდა, სადილის მომზადება იმას დავავალეთ. ამ დროს მოსულიყვნენ ჩვენთან ჟანდარმები, გაეგოთ რომ აბანოში ვიყავით და იქ ჩამოსულიყვნენ ჩემს შესაპყრობათ. აბანოში ჩვენ ვერა გვნახეს და მოგვძებნეს სალულაქაბაზში. ეს იცოდა კამომ, რომელმაც ჟანდარმები მოიყვანა ჩვენთან. კამო, ეტყობოდა, უხერხულ მდგომარეობაში იყო, რომ ჟანდარმები მოაყენა თავზე. მაგრამ, იცოდა რა, რომ ჟანდარმები მე მეძებდნენ, ჩემი ნახვით დაკმაყოფილდნენ და არ დაიწყებდნენ სახლის გაჩხრეკას, არჩია ჩემი მოძებნა და ამით საქმის მოთავება.

კამოს მოსაზრებამ გასჭრა. მე შემიპყრეს. ბინის ჩხრეკა არ დაიწყეს (ბინაზე სარდაფში გვქონდა სტამბის ნაწილები და ბიბლიოთეკა), და მალე ჩემი ლოგინით ილლიაში გამორჭობილი ჩამსვეს ეტლში და წამიყვანეს რკინის გზის ჟანდარმერიაში.

ჟანდარმერიაში რომ მიმიყვანეს, მაშინათვე ტელეფონით შეეკითხენ რკინის გზის სადგურს, როდის გადის ბათომის მატარებელიო. ეს რომ გავიგონე (მე მეორე ოთახში ვიყავი გაჩერებული), მივხვდი, რომ გაუგებრობას აქვს ალაგი და ალბათ ბათომის გაფიცვების საქმეში უნდა გამახვიონ მეთქი.

მიმიყვანეს ბათომში, როტმისტრ ჟაყელთან. იგი მეკითხება: „როდის იყავი შენ ბათომში“ მე არასოდეს არ ვიყავი ნამყოფი და ამიტომ მაგრად უპასუხე: არასოდეს.—კარგი, კარგი, გიცნობთ რაც ყმაწვილები ბრძანდებით, წაბრძანდი ციხეში და ხვალ გავიგებთ ყველაფერს“-ო. სთქვა ჟაყელმა ეს და წამიყვანეს საპყრობილეში.

ციხეში შემიყვანეს თუ არა, გამგზავნეს ცალკე კამერაში. როდესაც კარებს გაღება დაუწყეს და გაისმა კლიტის ჩხარუნი, ეს გაიგონა ეზოში მოსიარულე სოსომ, გამოქანდა თავისი კამერისაკენ და ჩამილაპარაკა: „არ მიცნობ“.

სოსოს დანახვამ ძალზე დამალონა და კიდეც გამახარა. მისმა სიტყვებმა საბოლოოთ გამაგებინა საქმის ვითარება. ახლა ჩემთვის აღარაფერი იყო დაფარული. მე უპასუხე: „ვიცი, მოკითხვა ყველასაგან“ და მერე ერთმანეთს აღარ შევხვედრივართ. ის შეამწყვდიეს თავის კამერაში, მე კი — ჩემსაში.

გათენდა დილა. გამიყვანეს კანცელარიაში. იქ დამხვდა ჟაყელი და მეუბნება: „იცნობ იოსებ ჯუღაშვილს თუ არაო. მე უპასუხე არა მეთქი. როგორ თუ არა ის იძახის, რომ შენ იგი კარგათ გიცნობს და ამხანაგიცა ყოფილხარ“. როგორ თუ იძახის... აბა მაჩვენეთ ვინ არის, იქნება ვიცნო ან გავიგო ვინ არის ეგ კაცი, იქნება გიჟია, თორემ როგორ შეეძლო ჩემი დასახელება. როდესაც ასეთი კაცის გვარიც არ გამიგონია მეთქი. ჟაყელი იცინის და ამბობს: „გიჟი, გიჟს განა ხალხი გაუგონებს? ამ ჯუღაშვილმა კი მთელი ბათომი გადაატრიალა.. იცი ვინ არიან მარქსისტები?“ არ ვიცი — ვუპასუხე მე. ჰმ. ისინი რაზბოინიკი ხალხია. ეს ჯუღაშვილიც მარქსისტია. აქ არიან მარქსისტები, მაგრამ ისინი წყნარი ხალხია (ალბათ რამიშვილზე და ჩხეიძეზე ლაპარაკობდა, მე არ შევეკითხე, რომ არ დამეჭვებინა ის), მათ აქ ყოფნისას არასფერი ურიგო მომხდარა. რაც ჯუღაშვილი აქ მოვიდა, ბათომს მოსვენება მოაკლდა (მხედველობაში ჰქონდა ბათომის გაფიცვები, დემონსტრაცია და პოლიციის მიერ მუშების დახოცვა). მე სრული უარი განვაცხადე და, თითქოს მიკვირდა ყველაფერი, ისე დაუწყე მას ცქერა. ეტყობოდა, ჟაყელი დარწმუნდა ჩემს უდანაშაულობაში“. გადმოიღო მან სოსოს სურათი, მომცა ხელში და დაკვირვებით დამიწყო ყურება. იცანი, არა? — არ ვიცი, არ მინახავს ასეთი კაცი — უთხარი მე. მე მას არ ვიცნობ და დამიპირდაპირეთ მეთქი — დაჟინებით მოვითხოვდი. ჟაყელი გაშრა, უარი სთქვა შეხვედრაზე და გამგზავნა უკან, საკანისაკენ.

სოსოს საკანს რომ გაუარე, იქიდან მთელი ლანძღვა გინება მომესმა. სოსო ბრაზობდა, ღლავდა და ლანძღავდა თავის საკანში მჯდომს და ერთი ორიც უთავაზა მას. ყველა ეს ხდებოდა ელვის სისწრაფით, მე ეს შევამჩნიე ფანჯრიდან. ამან გამაოცა. გავიგე მეორე დღეს, რომ სოსოსთან საგანგებოთ ჩაესვათ გადაცმული ჯაშუში და ამაზე იყო მთელი აურზაური. სოსოს ეს არასასიამოვნო პიროვნება მალე მოაშორეს.

ციხეში დავყავი ერთი კვირა. ეტყობოდა, დაიჯერეს ჩემს უდანაშაულობაში და გამომიშვეს. მიბრძანეს არ გავჩერებულიყავი ბათომში და პირდაპირ თბილისში წამოვსულიყავი. დასარწმუნებლად, რომ მე ამას შევასრულებდი, გამომაყოლეს ჟანდარმი. ამაღებინეს რკინის გზის ბილეთი და თავი დამანებეს. ციხეში ყოფნისას გავიგე, რომ სოსოს ჩემს ბათომში ჩაყვანამდე გამოეტანებინა ციხიდან გამოსულ ერთი პატიმრისათვის წერილი, გაჩხრეკისას იგი მისთვის წაერთმიათ. სოსო წერილში თურმე მწერდა: მე ციხეში ვარ, ჩამოდი და იმუშავე აქ ბათომშიო.

ჩამოვედი თბილისში და დაწვრილებით ყველაფერი ვუამბე ჩვენს ამხანაგებს. გადავწყვიტეთ წავსულიყავი ბათომში, მხოლოთ ვუცდიდი დამატებით ცნობებს.

გავიდა ცოტაოდენი ხანი. ჩემთან მოვიდა სოსოს გამოგზავნილი კაცი. ის იყო კოწია კანდელაკი (სოფ. ჭაგანიდან), რომელიც სოსოსთან მუშაობდა დაპატიმრებამდის და ახლა გამოეშვათ ციხიდან. კოწიამ დაწვრილებით გადმომცა წერილი ამბავი, ამიხსნა სოსოს დავალებანი, გამაცნო საქმის ვითარება და მთხოვა გავმგზავრებულიყავი ბათომში.

მე დავტრიალდი, დავითანხმე ბათომში წასვლაზე დათიკო ღამბაშიძე და ორივემ ერთად გავსწიეთ დანიშნულებისამებრ.

კოწია კანდელაკის მითითებით პირველათ ბათომში ჩასვლისას მივედით სილიბისტრო ლომჯარიასთან. სილიბისტრომ მიგვიღო ამხანაგურად და დაგვითმო საცხოვრებლათ ოთახი, სადაც წინათ ეცხოვრა ამხანაგ სოსოს.

ეს ოთახი წარმოადგენდა დაახლოებით 7-კვადრატულ მეტრ ფართობის ყუთს, პატარა ხის საწოლით, მაგიდით და ერთი პატარა ფანჯრით. სილიბისტრო მუშაობდა მანთაშევის ქარხანაში.

სოსოს კარგათ შეჰგუებოდა ამხ. სილიბისტრო, გაეზიარებინა მისი მიმართულება და კეთილსინდისიერათ ასრულებდა დავალებებს, რომელსაც იძლეოდა სოსო. ისეთი დიდი დავალება, როგორიც იყო სტამბისათვის ბინის გამოძებნა, სილიბისტროს კარგათ შეესრულებინა. ეს სტამბა იყო მოწყობილი ბათომის გვერდით მდებარე მთაზე. და ადგილი წარმოადგენდა მეტად დაცულ მიდამოს. არავის არ შეეძლო ასეთს პირობებში ეფიქრა, რომ ამ ალაგას შეიძლებოდა ყოფილიყო არალეგალური სტამბა.

ბინა, სადაც იყო მოწყობილი საიდუმლო სტამბა, ეკუთვნოდა აჭარელ გლეხს. მან არ იცოდა რას წარმოადგენდა სტამბა ან რა სასჯელი მოელოდა მას ამისათვის. მას სილიბისტრო ეუბნებოდა: აქ ფული უნდა დავბეჭდოთ, გაფრთხილებთ არავის სთქვა და, როცა ამას ვიზამთ, შენც გერგება წილი და გამდიდრდებიო. გლეხს სჯეროდა სილიბისტროს ნათქვამი, ძალიან უფრთხილდებოდა სტამბას და თანაც შიშობდა, არავის გაეგო ეს. ამ პირობებში სტამბა ინახებოდა კარგათ.

სტამბა იყო მოწყობილი ამხანაგ სოსოს უშუალო ხელმძღვანელობით. ასოთ-ამწყობათ ამ სტამბაში მუშაობდა ამხ. სილია თოდრია. ეს სტამბა პატარა და პრიმიტიული სახის იყო.

მთავარი, რაც იყო ჩვენთვის, ახალ მისულებისათვის — გაგვეგო ვინაობა იმ ამხანაგებისა, რომელთანაც სოსოს ჰქონდა საქმე და ჩვენც უნდა დაგვეჭირა კავშირი. სილიბისტრო ამაშიც დაგვეხმარა. მან გაგვაცნო მთელი რიგი ამხანაგებისა, რომელნიც სიკვდილსა და ციხეს გადარჩენოდნენ და მარტის გაფიცვების შემდეგ ბათომში დარჩენილიყვნენ. ესენი იყვნენ: ქურიძე, კიტრიკაძე, კალაძე, ელენტი და სხვანი. ამ ამხანაგების მეშვეობით მალე დავუკავშირდით ორგანიზაციას, ჩამოვაყალიბეთ წრეები და შევუდექით მუშაობას.

სოსო ამ დროს კიდევ ციხეში იჯდა. მისგან ვღებულობდით დირექტივებს კონსპირატიული გზით და ასე ვმუშაობდით, სანამ იგი არ მოაშორეს ბათომს და გადაასახლეს ციმბირში.

◆

---

*) იხ. „კომუნისტი“, 24 ნოემბრის ნომერი.

მეცნიერის სიხარული

ინსტიტუტის დირექტორის კაბინეტში სხდომა იყო მოწვეული.

მოვიდნენ პროფესორები, დოცენტები, მოვიდნენ მეცხოველეობის ტრესტის, კარაქ-ტრესტის სპეციალისტები. სადად და უპრეტენზიოდ მორთული კაბინეტი, რომლის კართანაც ცნობისმოყვარე სტუდენტების ჟრიამული იდგა, აივსო სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლებით.

— როკფორის „საიდუმლოება" ამოცნობილია. ნუთუ, მართლა ამოცნობილია ეს საიდუმლოება? ამ კითხვით არის დაინტერესებული ყველა. ვისაც ამჟამად დირექტორის კაბინეტში მოუყრია თავი. ამ კითხვით დაინტერესებული არიან არა მარტო ისინი, არამედ მეცხოველეობის და კარაქის მრეწველობის ტრესტები, სავაჭრო ორგანიზაციებიც.

დოც. ნიკო ფირანიშვილი

როკფორი სოფელია საფრანგეთში, ავერონის ოლქში. როგორც ჩვენში ხვანჭკარულმა ღვინომ სახელი გაუთქვა ქვემო-რაჭის ერთ სოფელს — ხვანჭკარას (სხვაგან არსად ხარობს ვაზის ხვანჭკარული ჯიში), ისე როკფორსაც სახელი გაუთქვა ადგილობრივი წარმოების როკფორულმა ყველმა. ვერსად, ვერც ერთ ქვეყანაში ვერ ამზადებენ როკფორულ ყველს. ეს ყველი ძვირფასი სადესერტო საჭმელია და ახლაც, თურმე, უცხოეთის ბაზრებზე კილოგრამი როკფორული ყველის ფასი 4 მანეთს აღწევს (ოქროთი). კრემისფერი, რბილი და არომატიანი როკფორულის ნაჭერი ნაყინივით დნება პირში და დიდხნით სტოვებს მიმზიდველ სპეციფიკურ არომატს.

რომელი ქვეყანაც უნდა აიღოთ, თუ იქ მეცხოველეობა, განსაკუთრებით კი მეცხვარეობა (როკფორული ყველი ცხვრის რძისაგან მზადდება) განვითარებულია, ყველგან ახდენდნენ და ახლაც ახდენენ ცდებს როკფორელ პეიზანების „საიდუმლოების" გამოსაცნობად, მაგრამ ამაოდ.

როკფორელები ამ ძვირფას პროდუქტს ამზადებენ, რა თქმა უნდა, არა მასობრივი მომხმარებლისათვის. მხოლოდ ცხოვრებამოყირჭებულ არისტოკრატებს და კაპიტალისტებს შეუძლიათ ამ იშვიათი პროდუქტით ნასადილევს ყელი ჩაიკოკლოზინონ...

ეს კაპიტალისტურ ქვეყნებში. მაგრამ ჩვენში? ჩვენში უკვე დაიწყო შეძლებული ცხოვრება. სტახანოველი მუშა, რომელიც თვეში 1000 და 1500 მანეთზე მეტს ღებულობს გმირული შრომის შედეგად, მას შეუძლია იყიდოს როკფორული, მას შეუძლია გაამდიდროს სუფრა ამ უცხო საჭმელით.

შარშან მერძევეობის სამეცნიერო ინსტიტუტებმა მიიღეს დავალება, რომ შესდგომოდნენ ცდებს როკფორულის დამზადების მეთოდის გამოსანახავად. ამ დავალების შესრულება სხვათა შორის, ტფილისის ზოოვეტერინალურმა ინსტიტუტმაც იკისრა.

— ვინ მოჰკიდებს ამ პრობლემის დამუშავებას ხელს? კითხულობდა ინსტიტუტის დირექტორი. ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკი, რომელიც ინსტიტუტში სტუდენტებს ლექციებს უკითხავს რძის ტექნოლოგიაზე, ხმას არ იღებდა. ვაი თუ ვიკისრო და არაფერი გამოვიდისო, — ეჭვობდა იგი. მაგრამ ჩქარა დასძლია ეჭვს და უთხრა დირექტორს:

— მე ვიმუშავებ, დამეხმარეთ, შეიძლება გავიმარჯვოთო.

ეს ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკი, მუკუზნელი გლეხის შვილი **ნიკო ფირანიშვილი** იყო.

შემდეგ ამბავი უბრალოდ განვითარდა. ფირანიშვილმა მიიღო ცდების ჩასატარებლად საჭირო თანხა. იგი ჩქარა წავიდა უდაბნოს საბჭოთა მეურნეობაში და შეუდგა მუშაობას. თან წაიღო ყოველგვარი ლიტერატურა როკფორული ყველის წარმოების შესახებ. ეს იყო ივნისში. განვლო ძიებითა და დაძაბული მეცნიერული შრომით სავსე ოთხმა თვემ (როკფორული ყველის წარმოების პროცესი 4 თვეს გრძელდება). ფირანიშვილს უნდა შეემუშავებინა ცხვრის რძის შესადედებელი შრატის ახალი რეცეპტი, შემდეგ უნდა მოენახა სპეციფიკური ობი, რომელსაც ურევენ როკფორულში, უნდა განესაზღვრა დრო, თუ რა ხნის შემდეგ უნდა ამოიყვანონ რძეში ყველი, უნდა შეესწავლა რძის ხარისხი (ტემპერატურა, ცხიმიანობა, სიმჟავე)... რას სჭამს ცხვარი, როდის უნდა მოიწველოს იგი, რა რეჟიმი უნდა დავიცვათ ყველის ამოყვანის დროს, როგორ უნდა შევინახოთ ამოყვანილი ყველი, რომ მან როკფორულის თვისებები მიიღოს? შეუფერებელი პირობები, არსაიდან რჩევა დახმარება. საფიქრელი იყო, ყველაფერი გაეკეთებინა ფირანაშვილს, განვლო დაუღალავი და ნერვიული შრომის 4 თვე და როკფორულის მაგიერ მიიღო ყველის მსგავსი უვარგისი რამ.

ნიკო ფირანაშვილს პირველი სიხარული წილად მაშინ ჰხვდა, როცა ოთხ თვის შემდეგ, თვითონ გასინჯა საკუთარი ყველის გემო. თურმე ეს ყველაზე უხეირო ყველის ნიმუში იყო დამზადებული ათი ნიმუშიდან. თავისი პირველი სიხარული ფირანიშვილმა ზოოვეტერინალური ინსტიტუტის დირექტორს — **ს. თოხაძეს** გაუნაწილა. გასინჯეს სხვა ნიმუშებიც.

— ევრიკა!

14 ნოემბერს, ინსტიტუტის დირექტორმა მოიწვია ექსპერტების თათბირი. თათბირმა ინსტიტუტის სამეცნიერო მუშაკებისა და დაინტერესებულ სამეურნეო ორგანიზაციების მთელი კოლექტივი მოიზიდა. ექსპერტებმა ყველი მოიწონეს და იგი აღიარეს როკფორულის შესადარისად.

მხცოვანი მეცნიერები ახალგაზრდა კოლეგას ულოცავდნენ როკფორელთა „საიდუმლოების" ამოხსნას.

ფირანაშვილი სახეგაბრწყინვებული იყო...

დ. ლომთაძე

□ □ □

სტახანოველთა შეკრება

ქ. ჯულელი. 8 დეკემბერს გაიმართა ჯულელის რაიონის სტახანოველთა პირველი შეკრება. შეკრებას დაესწრო რაიონის 243 წარჩინებული ადამიანი.

შეკრება მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა ჯულელის რაიაღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. **ნ. შარიქაძემ**. სტახანოვური მოძრაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ტ. პაპიძე.

შეკრება მეტად დიდი აქტიობითა და ხალისით ჩატარდა. შეკრებაზე გამოვიდნენ რაიონის საწარმოთა და კოლმეურნეობების საუკეთესო სტახანოველები; თათბირს მათ მოუთხრეს თავიანთი მუშაობის და გამოცდილების ამბავი.

შეკრებამ მიმართვა გაუგზავნა ამხ. ლავრენტი ბერიას.

გ. ლილუაშვილი

ყველაფერში მოწინავე ბრიგადირი

(„კომუნისტის" სპეციალური ბრიგადისაგან)

ექვსი წელია ბრიგადირად მუშაობს იგი.

კოლმეურნეობაში ყველა იცნობს მას, როგორც მოწინავე სტახანოველს, უხვი მოსავლის ოსტატს...

მარტო ის ფაქტი, რომ **კალისტე ანდღულაძემ**, წელს პირველი იანვრიდან პირველ დეკემბრამდე 450 შრომადღე გამოიმუშავა, მჭერმეტყველურად მოწმობს მის წარმატებას.

სოფ. ძიმითის (მახარაძის რაიონი) კოლმეურნეობაში სამუშაოს არც ერთი ნორმა არ არის, რომელსაც ხარისხოვნად და 2—3-ჯერ გადამეტებით არ ასრულებდეს კალისტე. აი თუნდაც ჩაის ახალი პლანტაციის გასაშენებლად ნიადაგის მომზადება. ნორმად 70 კვადრატული მეტრია დაწესებული, ასრულებს 200-ს და კიდევ მეტს. პლანტაციების საზამთრო გადაბარვის ნორმაა—600 კვ.მ. ასრულებს 1800-ს. ასევე გადაჭარბებით ასრულებს იგი თესვის, თოხნის, რგვის და საჰექტარო მოსავლიანობის გადიდების ნორმებს...

20 ჰექტარი ჩაი აქვ გაშენებული კალისტე ანდღულაძის ბრიგადას, აქედან დიდი ნაწილი არასრულმოსავლიანია. 13.000 კილოგრამის ნაცვლად, ბრიგადამ წელს 20.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მისცა სახელმწიფოს. ამ მოსავლიდან 90 პროცენტზე მეტი პირველი ხარისხისა იყო.

სრულმოსავლიან ჩაის თვითეულ ჰექტარზე ამ ბრიგადას შარშან 950 კილოგრამი ჩაი უნდა მიეღო, ფაქტიურად გეგმას 250 კილოგრამით გადააჭარბეს. წელს მიიღეს 1.600 კილოგრამი, 400 კილოგრამით გეგმით გათვალისწინებულზე მეტი.

56 პროცენტით გაადიდეს სიმინდის მოსავალიც.

კალისტე ზედმიწევნით იცნობს თავის ბრიგადაზე მიმაგრებულ ჩაის ყოველ ბუჩქს და თვალის ჩინივით უვლის მას. დროზე სთოხნის, პლანტაციებში გაჰყავს სადრენაჟო [illegible], წესიერად აფორმებს ბუჩქებს და აძლევს სასუქს.

წელს, კრეფის დაწყების წინ ჩაის პლანტაციებში კალისტეს მინერალური სასუქი უნდა შეეტანა. „ინსტრუქციის" მიხედვით, სასუქი რიგთაშორის უნდა მოთავსებულიყო და ჩაეთოხნათ. კალისტემ კარგად იცოდა, რომ სასუქის ასეთი წესით შეტანა მის პლანტაციებში, რომლებიც ფერდობზე იყო გაშენებული, ვერ გამოიღებდა ნაყოფს, მას ღვარი ჩარეცხდა.

— სჯობს ჩაის ყოველ ბუჩქს მივცეთ სასუქი, ამხანაგებო — გაუზიარა კალისტემ თავისი აზრი ბრიგადის წევრებს და რაკი დარწმუნდნენ ამ წინადადების უპირატესობაში, იგი ყველამ მოიწონა.

ასეც მოიქცნენ.

ფერდობის მხარეს ჩაის თვითეულ ბუჩქს ნახევრად წრისებური კვლები შემოავლეს. ამ კვლებში ჩაყარეს სასუქი და მიწით დაფარეს. ამან საუკეთესო შედეგი გამოიღო. **სასუქის 66 პროცენტის ეკონომია მიიღეს, ხოლო საერთო მოსავლიანობა გაადიდეს 76 პროცენტით.**

ახლა კალისტე კოლმეურნეობის გამგეობაში აყენებს სასუქის შეტანის წესის შეცვლის საკითხს და ამტკიცებს გატარებული ცდების უპირატესობას.

პლანტაციების საზამთრო მსუბუქ გადაბარვის გეგმა კალისტე ანდღულაძის ბრიგადამ უკვე შეასრულა ვადამდე 26 დღით ადრე. ახლა კი სასუქი შეაქვთ.

— წელს ყველა ბრიგადას გავუსწარი ჩაის მოსავლიანობის გადიდებაში, ჰექტარზე 1.600 კილოგრამი მივიღე, მაგრამ ეს ახლა აღარ მაკმაყოფილებს. მომავალ წელს სულ ცოტა—2.500 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი უნდა მივიღო ყოველ ჰექტარზე—მტკიცედ აცხადებს ძიმითელი სტახანოველი.

○

ცხოვრება გამოიცვალა, ცხოვრება საამური გახდა, წინათ უმიწაწყლომ და სილატაკით დაბეჩავებულმა კალისტემ იგრძნო საკოლმეურნეო ცხოვრების [illegible] სითბო. სამთვალიანი ოდა აიშენა მან და კრამიტით დახურა იგი. მეწველი ძროხა შეიძინა, ოჯახი მოაწყო. ცოლშვილი შემოსა ნაირნაირი ტანთსაცმლით, შვილებს სკოლაში ასწავლის, წელს ას ფუთამდე სიმინდსა და 4.000 მანეთზე მეტს ფულს ღებულობს კალისტე კოლმეურნეობიდან.

ასეთ ბედნიერ ცხოვრებას წინათ კალისტე სიზმარშიც ვერ ნახავდა.

მას ახარებს დღევანდელი დღე და იმედიანად შეჰყურებს ხვალინდელ დღეს.

□ □ □ □ □

დაეწევა თუ არა ვერა მარიკას?

(„კომუნისტის" სპეციალური ბრიგადისაგან).

ისინი ერთმანეთს ლაითურის საბჭოთა მეურნეობაში შეხვდნენ. ძიმითის კოლმეურნეობის ფუნდუკიძე — **ვერა ჩხარტიშვილი** ლაითურში ჩამოვიდა იმისთვის, რომ ენახა თავისი მეგობარი მარიკა და ესწავლა მისგან ჩაის კრეფის საქმეში მიღწეული სარეკორდო მაჩვენებლების „საიდუმლოება"...

ვერა ჩაის ცნობილი მკრეფავია მთელს მახარაძის რაიონში. იგი ყოველდღიურად **ჰკრეფდა 42 — 43 კილოგრამ ჩაის ფოთოლს. ეს იმ დროს, როცა ნორმად 8 კილოგრამია დაწესებული.**

ეს — ჩაის კრეფა.

ახლა ჩაის ორმაგი შპალერული ეჭკვრივის გახელვა, მისი გაფორმება და თესლის აკრეფა იკითხეთ.

— 400 მეტრის ნაცვლად 2000 მეტრი პლანტაციის გამოხელვა...

— 900 ბუჩქის შეკრეჭა და გაფორმება ნაცვლად 300 ბუჩქისა.

— 25 კილოგრამის ნაცვლად 55—58 კილოგრამი თესლის შეგროვება და ათი თვის განმავლობაში 220 შრომადღე...

ასეთია ციფრებში სტახანოველი ვერა ჩხარტიშვილის მიღწევები, რომლითაც სამართლიანად ამაყობს ძიმითის კოლმეურნეობა.

— გამომუშავების ნორმები, რომ გადაჭარბებით შეასრულო, ამისათვის საჭიროა არა „განსაკუთრებული" ენერგიის დახარჯვა, არამედ სამუშაო დროის სწორად განაწილება, ტექნიკის დაუფლება.. ეს კარგად იცის ვერამაც, არა მარტო იცის, ასეც მუშაობს.

დილით, სხვებთან ერთად იწყებს ვერა საკოლმეურნეო მინდვრებზე მუშაობას. საღამოზეც ჩვეულებრივად ამხანაგებთან ერთად ბრუნდება სახლში. მიუხედავად ამისა ნორმების შესრულების მხრივ ყველას წინ უსწრებს.

ორიოდე წლის წინათ ვერა სუბტროპიკულ მეურნეობაში სწავლობდა. უმუშავნია მას მარიკა ფუნდუკიძესთან ჩაის კრეფაზე. მრავალი წიგნი წაუკითხავს ჩაის შესახებ და მიღებულ ცოდნას პრაქტიკაში იყენებს.

ერთი შეხედვით იცნობს ვერა, რომელი ფოთოლია პირველი ხარისხის, რომელი ყრუნაზი, ან კიდევ ყრუუხეში. ეს კი საშუალებას აძლევს ორივე ხელით და ხარისხიანად კრეფოს ჩაი.

— როცა ჩაის ფოთოლი ნორმალურად არის განვითარებული, მას ღია მწვანე ფერი აქვს, გაუხეშებულს კი მუქი—გვეუბნება ვერა.

— ჩაის ყრუნაზ ყლორტებს პატარ-პატარა ფოთლები აქვს ყრუუხეშს კი დიდი—დასძენს იგი.

ვერა მანქანისებური სისწრაფით ამოძრავებს ხელებს ჩაის კრეფის დროს. — ორ კალათს ატარებს და კრეფასთან ერთად ახარისხებს მოკრეფილ ფოთლებს ამ კალათებში. იგი დღეში ჩვეულებრივ 5—6-ჯერ ისვენებს.

შუტუ ლაღიძე ძიმითის კოლმეურნეობის წევრია, ვერასთან ერთად მუშაობს ბრიგადაში. ლაღიძე თითქმის ყველას ასწრებს სამუშაოზე გამოსვლას, სახლში გვიან ბრუნდება, იშვიათად ისვენებს, მაგრამ იმის ნახევარსაც ვერ კრეფს, რასაც ვერა ჩხარტიშვილი. ეს იმიტომ, რომ შუტუ ლაღიძე ნაკლებად იცნობს ჩაის აგროწესებს, სათანადოდ არ არის დაუფლებული საწარმოო კულტურას.

○

ვერა ჩხარტიშვილი 4—5-ჯერ გადამეტებით ასრულებს გამომუშავების ნორმებს, მაგრამ ეს არ აკმაყოფილებს მას.

— 63 კილოგრამი ჩაი მოკრიფა მარიკამ ერთ დღეს — ამოიკითხა ვერამ ამ რამდენიმე დღის წინათ „კომუნისტში".

— როგორ მიაღწია ამას მარიკამ? აი რა აინტერესებდა ვერას, როცა იგი მარიკასთან შესახვედრად მოდიოდა ლაითურში.

...და ამის შესახებ ლაითურელებთან ერთად ვერამაც გაიგო მარიკასაგან ყველაფერი.

გაიგო და გადასწყვიტა: იმუშაოს უფრო უკეთესად, ახლებურად, რომ ჩაის კრეფაში თუ არ გაუსწრებს, დაეწიოს მაინც მარიკა ფუნდუკიძეს.

მიაღწევს თუ არა ამას ვერა ჩხარტიშვილი?

ამას ახლო მომავალი გვიჩვენებს

▼ ▼ ▼ ▼ ▼ ▼ ▼ ▼

ჩოხატაურის რაიონის მცდელი კოლმეურნეები ვარცხნიდან—მარჯვნივ — შიშიკო გურჭულაძე ილარიონ დოლიძე, მელიტონ პაიჭაძე, ერემი ოსაფაშვილი.

სიმონ ჩიქოვანი

ქერიდეზ[illegible]

I

ინგური ჰქუხდა როგორც ნადიმი.
თრთოდნენ ღამეში ზეცის ქარვები
პირხიდნენ ხანწკა ლანდებით
მრავალწლოვანი ბნელი ნაძვები.
მთას გასწოლოდა ბილიკი ციდან—
სვანურ ფეხების თქმულება მთაში.
ინგურს შტოები ესხმოდა ტყიდან
აღტკინებული ჰადრების ტაში.
ვიწრო ბილიკზე ისმოდა შიშიც,
მოკირწყლულიყო მთები მთვარეთი.
აქ სრულდებოდა დიდი ოდიში
და იწყებოდა მწვანე სვანეთი.
დაბლა ოდიში მოპარულ ხარებს
წინ მიდენიდა ვაჟი ჯანსუყი.
შონში ნაქურდალ ცხენთა სიჩქარით
შეხვდა სოგრატი როგორც პასუხი.
შეხვდა და შეკრთენ ბილიკის თიხას
თითქოს დაეცა მგზავრების ზაფრა.
სვანს ოდიშიდან ნადავლი მიჰყავს
მეგრელს სვანეთი ჩამოაქვს დაბლა.
ვერ ჩაუვლიან ერთმანეთს რადგან
გზა ვერ დაიტევს ოთხფეხს და ქურდებს.
მგზავრების ცოდვით ენგური ჩადგა,
მთვარეც ეძებდა ღრუბლების ქუდებს.
ჯოგებს ვინ დასძრავს მთებიდან უგზოდ,
რომ გადუხვიონ სად არის შუკა?
ჯანსუყს ოდიში აბუძგავს ზურგზე
სოგრატს სვანეთი მოსძახის უკან.
ნეტავი იყოს ბილიკი ფართო—
ნატრობს სვანი და აწვება ბოლმა.
დასძენს მეგრელი, ნეტავი მართლა
და ქარის ფრთაზე ქანაობს ჩოხა.
ახედ-დახედეს ერთმანეთს მწარედ,
გავდენ ორივე სიცრუის მცველებს.
წამს დაუბრუნდა მეგრელი ხარებს
და სვანი გაჰყვა მეზობელ ცხენებს.
რა ოსტატობა მექცა არარად—
ამბობდა წრფელად ვაჟი ჯანსუყი.
ამდენი ჯაფა ხომ მეზარალა
იყო სოგრატის ფიცხი პასუხი.
სვანმა სვანების ცხენთა კრებული
დააბრუნა და სწყევლიდა ბილიკს.
ინგური ღელვით განრისხებული
მიაცილებდა მეგრელის ტირილს.

II

გავიდა დრო და ინგურის გზაზე,
ხალხი ხალისით კლდეებს აპობდა.
ახლა ჯანსუყი გამდგარა განზე
კლდეზე წერაქვით დაკიაფობდა.
სოგრატიც იდგა ჯანსუყის გვერდით,
მათ განახლება შრომაში ნახეს.
იმედებს გავდა კლდეების ფერდი
ინგურიც გავდა კლდის მოკარნახეს.
უცებ ჯანსუყმა ლოდი აკუწა,
გახედა ფართო შარას და რიყეს.
და გაიფიქრეს ორივემ ძუნწად:
ნეტავი ეხლაც ქურდები ვიყვეთ.
გაიფიქრეს და შერცხვათ ოსტატებს,
სინდისის და სამშობლო მიწის.
ფიქრის ჩაქრობა წერაქვით სცადეს
და განიწმინდენ საქმიან ფიცით.
მზის გადასვლისას დაღლილნი ჯაფით
და დარცხვენილნი ჩამოჯდნენ ერთად.
ფიქრებს ამღვრევდა ინგურის ქაფი
და ფართო შარა ფეთქავდა თეთრად.
ჯანსუყ უსმენდა ნაღმების ხმაურს
და უთხრა გლეხებს ფერდზე შეფენილს:
ამ ფართო შარას ქურდობა ძმაო
ვერ მიუდგება და არც შეფერის.
უთხრა და განქრა მთიდან ბნელეთი
მწუხრში ელავდენ ღელვის ფარები
და გაჰრილიყო მწვანე ხმელეთი
კლდეში გაკაფულ გზის ელვარებით.

□ □ □

კონკურსი მრეწველობის გეგმების საუკეთესოდ შესრულებაზე

„პირველობას არავის დავუთმობთ"

საქ. ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის და „კომუნისტის" მიერ გამოცხადებულმა კონკურსმა საგრძნობი გარდატეხა მოახდინა ტფილისის მაუდის ფაბრიკის მუშაობაში.

— ახლა ჩვენი საამქროები გეგმას გადაჭარბებით ასრულებენ—განაცხადა ფაბრიკის დირექტორმა ამხ. **ა. ალიბეგაშვილმა** და მართლაც, ძაფსართავმა საამქრომ ნოემბრის გეგმა 108,9 პროცენტით შეასრულა. გეგმის გადაჭარბებით შესრულებასთან ერთად გაიზარდა თვითეული მუშის შრომის ნაყოფიერება. გეგმით ერთ მუშას დღეში 72 კილოგრამი ძაფი უნდა დაერთო, მაგრამ დაართო 92,9 კილო, გეგმა შეასრულა 128 პროცენტით.

საქსოვ საამქროში კონკურსის გამოცხადებამდე 4 სტახანოველი იყო. ახლა კი 36 კაცი მუშაობს სტახანოვის მეთოდით. სართავ საამქროში წინათ არცერთი სტახანოველი არ ჰყავდათ ახლა კი, კონკურსის გამოცხადების შემდეგ, საგრძნობად გაიშალა სტახანოველთა შორის მუშაობა. საამქროს 26 სტახანოველი ჰყავს. მათ შორის საუკეთესოდ მუშაობენ **ს. მიქაბერიძე** და **ჟ. ანთელავა**.

ხამი ქსოვილის გამოშვების ნოემბრის გეგმა ფაბრიკამ 108 პროცენტით შეასრულა, ხოლო შრომის ნაყოფიერება 112,5 პროცენტამდე ავიდა. ფაბრიკამ ჩვენს ქვეყანას გეგმის ზევით მისცა 3095 მეტრი მზა პროდუქცია. ერთ მუშას უნდა გამოემუშავებინა 42,4 მეტრი სხვადასხვა სახის ფართალი, მაგრამ გამოიმუშავა 56,4 მეტრი, შრომის ნაყოფიერებამ 133 პროცენტს მიაღწია.

ფულადი გამოხატულებით ფაბრიკას გეგმა გადაჭარბებითა აქვს შესრულებული. აგრეთვე საგრძნობად შემცირებულია თვითღირებულება.

სტახანოველთა პირველ საკავშირო თათბირზე დიდი სტალინის მიერ წარმოთქმული სიტყვის დამუშავებისას ფაბრიკამ იკისრა ა.-წ. გეგმის 17 დეკემბრამდე შესრულება. ახლა გაცხოველებული ბრძოლაა ამ ვალდებულების გასანაღდებლად.

ამჟამად ფაბრიკას 122 სტახანოველი ჰყავს. სტახანოველებს შექმნილი აქვთ ყველა პირობა ნორმალური ცხოვრებისა და მუშაობისათვის. მათ საუკეთესო ხარისხის ძაფს აწვდიან. თუ დღემდე ძაფს გრეხდნენ და ისე აბავდნენ ქსელს, ახლა ეს მუშაობა გაადვილებულია — პირდაპირ აბამენ ქსელს, რაც დიდად ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერებას. დღემდე სანარდო გამომუშავების აღრიცხვა ჯგუფურად ხდებოდა. ახლა კი მაუდის ხართავ საამქროში გამომუშავება ინდივიდუალურად აღირიცხება.

უკვე დამთავრდა სტახანოველთა ბინების შეკეთება. უბინაო სტახანოველები ახალ ბინებში შესახლეს. ამჟამად არც ერთი მუშა არ არის უბინაოდ. ფაბრიკა მთლიანად რენტაბელურია, 10 თვის განმავლობაში მას **ხუთი მილიონი მანეთი** ეკონომია აქვს.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ტექსწავლებას. ტექწრეებში ჩაბმული იყო 842 კაცი. მათ შორის 25 ნოემბრამდე 590-მა ჩააბარა გამოცდები. ამჟამად სხვადასხვა წრეებში გაერთიანებულია 180 კაცი, რომლებმაც გამოცდები ამ თვის ბოლომდე უნდა ჩააბარონ. მუშათა კვალიფიკაციის ასამაღლებლად ჩამოყალიბებულია ქარგალთა მოსამზადებელი კურსები.

ფაბრიკამ შეიძინა რადიომოწყობილობები და თვითეული მუშის ბინაში უფასოდ ხდგამს რადიო მიმღებს. სასადილოში კარგი ხარისხის სადილები მზადდება. ფაბრიკას აქვს საგარეთუბნო მეურნეობა, რომელიც სასადილოს სურსათით ამარაგებს.

დირექტორი ამხ. ალიბეგაშვილი ღიმილით ამბობს კონკურსში პირველობას არავის დავუთმობთო.

ქ—ლი.

□ □ □

სოცშეჯიბრება მეცხოველეობაში

დელეგაცია მიემგზავრება ჩრდილო-კავკასიაში

დღეს, 12 დეკემბერს, ჩრდილო-კავკასიაში მიემგზავრება ამიერ-კავკასიის მეცხოველეობის მუშაკთა დელეგაცია ჩრდილო-კავკასიასთან მეცხოველეობის განვითარებაზე დადებულ სოცშეჯიბრების ხელშეკრულების შესრულების შესამოწმებლად.

დელეგაციაში შედიან: ამხ. **ხუბაევი** — სამხრეთ-ოსეთის მიწსახკომი, ს. **ჟუჟარაშვილი** — კოლმეურნეობის თავმჯდომარე სიღნაღის რაიონიდან. ნ. მ. **ლოლობერიძე** — სპეციალისტი, შ. **დალიანი** —სპეციალისტი, **შიშინაძე** — ბორჯომის რაიაღმასკომის თავმჯდომარე, ა. **ხოზრევანიძე** — კოლმეურნე აჭარისტანიდან, ლ. **გასპაროვი** — შაუმიანის რაიონის რაისამიწათმოქმედო განყოფილება, **მამედოვი** — კოლმეურნე კარიაგინოს რაიონიდან **შრამკო** — ქედაბეგის რაიონის ზოოტექნიკოსი, **ანასტასია დიმიტრიევა** — სტეფანავანის რაიონიდან, **ჩიჩიანი** — ნარიმანოვის რაიონიდან, **კარო გრიგორიანი** — მარტუნის რაიკომის მდივანი, ს. **ისააკიანი** — სომხეთის მიწსახკომის მეცხოველეობის სამმართველოს უფროსის მოადგილე, ა. **ოჯანესიანი** — მწველავი ქალი ახტის რაიონიდან, **აიდინ მამედოვი** — ბასარგეჩარის რაიონის კოლმეურნე. **ახუნდოვი** — აზერბეიჯანის მიწსახკომის მეცხოველეობის სამმართველოს უფროსის მოადგილე, **ჯახან გერლი** — ლაჩინის რაიონის ზოოტექნიკოსი, **დულინი** — ქედაბეგის რაიონის კოლმეურნე, **სალიმოვი** — კოლმეურნე ყაზახის რაიონიდან, **ბარნაბოვი** — აზერბეიჯანის მიწსახკომის უფროსი ზოოტექნიკოსი, მ. **ჰასანოვი** — კოლმეურნე ყაზახის რაიონიდან, **გასტან ქერიმ ოღლი** — ყაზახის რაიონიდან, **კირაკოსიანი** — ტალინის რაიონის სამიწათმოქმედო განყოფილება, **თომასიანი** — ახალქალაქის რაიაღმასკომიდან, **პერტენავა** — სენაკის რაიონის სამიწათმოქმედო განყოფილების გამგე, გ. ლ. **დევდარიანი** — სპეციალისტი, **ჯაჯიაშვილი** — კოლმეურნე თელავის რაიონიდან.

დელეგაციას მეთაურობს ამიერ-კავკასიის მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. **ამბერკი ურუშაძე**.

დელეგაციას მიჰყვება „კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტი ამხ. შ. ბუაჩიძე.

საქ. ალკკ ც. კ-ი იუწყება, რომ საქართველოს მრეწველობისა და ტრანსპორტის

ახალგაზრდა სტახანოველთა რესპუბლიკური შეკრება,

ახალგაზრდა ინჟინერთა და ტექნიკოსთა მონაწილეობით, გაიხსნება 15 დეკემბერს, საღამოს სრულ 7 საათზე, საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სხდომათა დარბაზში (რუსთაველის პროსპექტი № 23).

საქ. ალკკ ც. კ-ის მდივანი **ა. მგელაძე**

შ. რადიანი

ნიკო ლომოური

(1915—1935)

ნიკო ლომოური ხალხოსნური ლიტერატურული მოძრაობის ერთ-ერთი დამახასიათებელი წარმომადგენელია ჩვენში. იგი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა მე-19 საუკუნის 70-იან წლებში. პირველ ხანებში ნ. ლომოური სწერდა ლექსებს, მაგრამ ნამდვილი შემოქმედებითი საქმე გამოაჩინა პროზაში და სწორედ ამ ჟანრში გახდა იგი ტიპიური „კულტურტრეგერ" — ხალხოსანი ქართულ ლიტერატურაში.

როგორც ცნობილია, ხალხოსანმწერლებმა თავიანთი შემოქმედების მთავარ თემად გაიხადეს სოფელი და გლეხობა. ამ გარემოებას თავისი მიზეზი ჰქონდა, „საგლეხო რეფორმას" სრულიად არ გაუუმჯობესებია გლეხობის მდგომარეობა, როგორც სამართლიანად სწერდა ლენინი: „გლეხებს „ათავისუფლებდნენ" რუსეთში თვით მემამულეები, მემამულეთა მთავრობა, თვითმპყრობელი მეფის მოხელეები. ამ „განმათავისუფლებლებმა" ისე წაიყვანეს საქმე, რომ გლეხებმა მიიღეს „თავისუფლება" მათხოვრის მდგომარეობაში. მემამულეთა მონობიდან თითქოს გამოსულები, ისევ ჩავარდნენ ამავე მემამულეთა და მათი დამქაშების ბრჭყალებში. არც ერთ ქვეყანაში გლეხობას „განთავისუფლების" შემდეგ არ განუცდია ისეთი განადგურება, ისეთი სიღატაკე, ისეთი დამცირება და აბუჩად აგდება, როგორც რუსეთში" (ტ. მე-15).

საქართველოში, როგორც განაპირა კოლონიურ ქვეყანაში, „საგლეხო რეფორმა" კიდევ უფრო მეტად შეზღუდული, კუდმოკვეცილი იყო გლეხობისათვის. „საგლეხო რეფორმამ" მხოლოდ ფორმალურად განათავისუფლა გლეხობა ბატონყმური მდგომარეობისგან. ფაქტიურად კი იგი გაცილებით უარეს მდგომარეობაში ჩააყენა. გლეხებს ძალზე შეუმცირეს ის მიწები, რომლებიც წინათ მათ სარგებლობაში იყო; ამ შემცირებული მიწის რაოდენობისათვის იგი ვალდებული იყო ეხადნა ნაბატონარის სასარგებლოდ ერთიორად და სამად იმაზე, მეტი, რასაც იგი აძლევდა ბატონს, როცა მის განკარგულებაში იყო უფრო მეტი მიწა, ტყე და საძოვარი. ამასთანავე გლეხობა დატვირთული იყო მრავალგვარი სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადითა და ბეგარით. გლეხობას გაუჩნდა ახალი ექსპლოატატორი —კაპიტალისტი, რომელიც დაუზოგავად სწოვდა მას სისხლს. გლეხობა შიმშილობდა. ღატაკდებოდა, ნადგურდებოდა, გარბოდა სოფლიდან ლუკმა-პურის საძიებლად. ერთი სიტყვით, ფორმალურმა თავისუფლებამ ვერ გადასწყვიტა გლეხის საკითხი. „რეფორმის" შემდგომ პერიოდში უკიდურესად გაძწვავდა ურთიერთობა ერთი მხრივ—გლეხობასა და მემამულეებს შორის, ხოლო მეორე მხრით, გლეხობასა და ბურჟუაზიულ - კულაკურ ფენებს შორის.

ასეთ პირობებში მძაფრად დაისვა გლეხობის მდგომარეობის საკითხი. გაისმა მოწოდება „ხალხში სიარულისა", რომ ამ გზით შეესწავლათ გლეხობის ცხოვრება, გაეთვითცნობიერებინათ იგი, გამოეწვიათ მასში პროტესტანტული განწყობილება.

ნ. ლომოურმა თავის შემოქმედებაში მთელი სისრულით გამოხატა ხალხოსნური მსოფლმხედველობის როგორც უტოპიური, ისე რეალური მხარეები. მან ასახა ქართული სოფლის ცხოვრება გასული საუკუნის 70—80-იან წლებისა. „განთავისუფლების" შემდეგ ორგვარი სიმძიმე (ბატონყმური ნაშთების და კაპიტალიზმისა), ქვეშ მოქცეული გლეხობა ნ. ლომოურის მოთხრობებში გამოიყურება ჯოჯოხეთურ გარემოცვაში. სხვადასხვა ჯურის ექსპლოატატორები ყოველნაირად ცდილობდნენ რკინის მარწუხებში მოექციათ უუფლებო და შევიწროებული მასები. აქ ჩვენ ვხედავთ ძველ ნაბატონარ — მემამულეს, სოფლის ბოქაულებს, ჩარჩ-ვაჭრებს. მათ ემატებიან აგრეთვე თვითმპყრობელურ - ბიუროკრატიული ხელისუფლების თავგასული მოხელეები. ყველა ესენი გლეხობას უქმნიდენ არსებობის აუტანელ პირობებს. მიწის სიმცირე, უწყლობა და სხვ. მეტისმეტად დიდი საკითხი იყო გლეხობისათვის. თავად - აზნაურობა „რეფორმის" შემდეგაც გლეხობისთვის რისხვას წარმოადგენდა. მათი ბრძანებით გლეხებს წყალსაც კი არ ანებებდნენ და გლეხობას უწყლობით უფუჭდებოდა ჭირნახული, ეკარგებოდა სარჩო („ბედი უბედურთა").

ღარიბი გლეხობა ყოველგვარ ადამიანურ უფლებას იყო მოკლებული, და მისი დაჩაგვრა, - შევიწროება ყოველ უბრალო მოხელესაც შეეძლო. „ქრისტიან ლეკებში" ნ. ლომოური გვიხატავს ხელისუფლების წარმომადგენელთა თავაშვებულ თარეშს სოფელში, მათ მიერ გლეხობის დარბევა - აწიოკებას. მამასახლისი გობაშვილი გაჯავრებულია გლეხ სვიმონა ლუკაშვილზე, რადგანაც მან არ მისცა მამასახლისს იმდენი ქრთამი, რამდენიც მოსთხოვეს. ამიტომ მამასახლისი იჩენს „ყოვლისშემძლეობას" და პირდაპირ არბევს უდანაშაულო გლეხს, მამასახლისის განკარგულებით, სამი ჩაფარი მისცვივდება სვიმონას და დაუზოგველად სცემს. მომაკვდავ სიმონას ძლივს მოაშორეს გამძვინვარებული ჩაფრები. მაგრამ მამასახლისს ესეც ეცოტავება. ის გაჰგზავნის აგენტებს სვიმონას ოჯახში, რომელსაც მოსტაცებენ სახალწლოდ შემზადებულ სარჩოს. ისედაც დასისხლულ სვიმონას კვლავ წაათრევენ მამასახლისთან, და თოკით ბოძზე მიაკრავენ. „თავი ძირს აქვს დაღუნული მაგ ღორსა, — შეჰყვირა მამასახლისმა, — აუკარით თავიც მაღლა: მე მინდა, რომ ჩემ წინ გამოჭიმული იდგეს სალდათივით"... ასე დასცინიან და შეურაცხყოფენ ხელისუფლების წარმომადგენლები არა მარტო სვიმონას, არამედ ბევრს მის მსგავსს გლეხს, ხოლო გამკითხავი და თანამგრძნობი არავინ იყო იმ დროის ხელისუფალთაგან.

გლეხობა ხედავს, თუ როგორია ხელისუფლების წარმომადგენელთა დამოკიდებულება. მთავარ ამას სრულიადაც არ აწუხებდა გლეხობის მდგომარეობის და ცხოვრების პირობები. დაისეტყვა სოფელი („ბედი უბედურთა"). განადგურდა გლეხკაცის მოსავალი. ხალხი სასოწარკვეთილებაში ჩავარდა. თავზარდაცემული გლეხები ჩუმად იკრიბებოდნენ და მსჯელობდნენ თავიანთ უბედურებაზე. გამოირკვა, რომ მათ ყველაზე მძიმედ სახელმწიფო გადასახადი აწევთ. დაიბადა აზრი, მთავრობას მივართვათ არზა, რათა გვეპატიოს მოუსავლობის გამო სახელმწიფო გადასახადიო, დასწერეს არზა, მოაწერეს ხელი და მაზრის უფროსთან გაგზავნეს. გადის დრო და დამშეულ ხალხს ასეთი პასუხი მისდის: „გამოეცხადოს ამა და ამ დასეტყვილი სოფლის მცხოვრებ გლეხებს, რომ მათ ეძლევათ ნება, წარმოადგინონ წლის სახელმწიფო ხარჯის მხოლოდ ნახევარი, ხოლო მეორე ნახევარი შემოიტანონ მერმის, შარშანდელ ხარჯთან ერთად"...

გლეხობას აწუხებდა არა მარტო თავადი, მამასახლისი, ჩარჩი-ვაჭარი, არამედ სოფლის ცხოვრების უპრალო [illegible]. ჩამორჩენილობა, [illegible] ცრუმორწმუნეობა, მოთხრობა „ალში" ნ. ლომოურმა გვიჩვენა ტიპიური გლეხის ოჯახი, ტრაგიზმითა და უბედურებით აღსავსე. გლეხობაში მაგრად გაუდგამს ფეხი ცრუმორწმუნეობას, რასაც მოხერხებულად, იყენებდნენ მაშინდელი სოფლის პარაზიტული ელემენტები: ძმა-ძმას ტყეში ცულს მოახვედრებს, ჰკლავს და სოფელში კი გაიძახიან: „ალი დაეცაო". ოჯახში სხვადი გაჩნდება და — „ალიაო"... ერთი სიტყვით, ოჯახი მძიმე მდგომარეობაში ვარდება. ეკლესიის მსახურნი — „წმინდა მამანი" კი ლამპობით აშინებენ საბრალო ოჯახს თავიანთი პირადი სარგებლობისათვის და ბოლოს ღუპავენ კიდეც მას.

ნ. ლომოური საზოგადოებრივი უთანხმოებისა და უსამართლობის მოსპობაში დიდ როლს აკუთვნებს სწავლა-განათლებას. მისი აზრით, განათლება გლეხობის უკეთესი ცხოვრების საფუძველია. განათლება თავისთავად მოაწესრიგებს, შეარიგებს მოწინააღმდეგე წოდებათა ინტერესებს. მართალია, „ალში" ისევე, როგორც „ქაჯანაში" სწორად არის ასახული გლეხობის ყოფა-ცხოვრების დამახასიათებელი მხარეები, მაგრამ ავტორი არ ეძებს მოვლენათა სოციალურ საფუძვლებს, მისი აზრით, გლეხობის ჩამორჩენილობის, ცრუმორწმუნეობის მიზეზი გაუნათლებლობაა და არა პირიქით. ჩამორჩენილი საზოგადოებრივი ურთიერთობის, კლასობრივი ცხოვრების პირობები, რომლებიც ამტკიცებენ და ასაზრდოებენ ხალხის უმეცრებას.

სინამდვილე ასე მწარეა გლეხობისათვის, მაგრამ ნ. ლომოური ცდილობს ყველაფერი ეს გვიჩვენოს შერბილებული ტონით. იგი არა თუ ვერ ამჟღავნებს გლეხთა მებრძოლ, პროტესტანტულ სულისკვეთებას, არამედ თითქოს კიდეც ერიდება მის დახატვას. როგორც წვრილბურჟუაზიული მწერალი, იგი ვერ ახერხებს გამახვილებულ, გამძაფრებულ ხაზებში იმ კლასობრივი ბრძოლის ჩვენებას, რასაც სინამდვილეში ჰქონდა ადგილი. ნ. ლომოურში ძლიერია კლასთა შერიგების, მშვიდობიანი თანამშრომლობის იდეა. ამ მხრით იგი შორეულად ეხმაურებოდა („ყოველ მხრიდან", „წუთი-სოფელი") ბატონსა და გლეხს შორის. „მამაშვილური" დამოკიდებულების თეორიას, რომელსაც ჩვენში კარგა ხნის განმავლობაში ჰქადაგებდნენ თავად-აზნაურობის მწერლები.

ნ. ლომოურის შემოქმედების ფორმალური მხატვრული მხარეები მთლიანად მოთავსებულია **ხალხოსნური სტილის** ჩარჩოებში, მოჭარბებული დოკუმენტალიზმი (ნატურალიზმი), სიუჟეტის სუსტი განვითარება, მოქმედების სტატიკურობა, დიალოგების სიჭარბე, (აქ ამჟღავნებს ნ. ლომოური ხალხური ენის საუკეთესო ცოდნას) ნაწარმოების აგება ცალკეული ჟანრობრივი სცენების მიხედვით, აი ის ძირითადი ნიშნები, რომლებიც ახასიათებს ნ. ლომოურს, როგორც ხალხოსნური სტილის მწერალს.

იმ პროცესებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში, საზოგადოებრივ ურთიერთობასა და შემეცნებაში, მოჰყვა ხალხოსნური მოძრაობის კრიზისი, მისი მთლიანი იდეური გაკოტრება. ის თანდათანობით გადიზარდა „მეშჩანურ ლიბერალიზმში" (ლენინი), რომელიც აფერხებდა რევოლუციის, მშრომელთა ნამდვილი განთავისუფლების საქმეს. ლიბერალური ტენდენციები, რომლებიც ახასიათებდა ნ. ლომოურს ადრეც, მისი მოღვაწეობის უკანასკნელ ხანებში ხდება მის შემოქმედებაში წამყვანი, განმსაზღვრელი (იხ. „წუთისოფელი" „ბერუჯ ქრისტესიაშვილი").

მიუხედავად ასეთი ევოლუციისა, ნ. ლომოური მაინც საყურადღებო მწერალია, და სამართლიანად აქვს მიჩენილი თვალსაჩინო ადგილი ქართული ლიტერატურის განვითარებაში.

◆

ვ. ფურცხვანიძე

ფოტო-აპარატით

ციტრუსების ბაღნარებში

ორდენოსანმა საქართველომ 8 დეკემბრისათვის გეგმით გათვალისწინებული 150 მილიონი მანდარინის ნაცვლად მოკრიფა 160 მილიონი მანდარინი.

1 ...და მართლაც, შეხედეთ საბჭოთა ქვეყნის ციტრუსოვან კულტურათა ბაღნარებს. მომხიბლავად შრიალებენ სუბტროპიკები.

2. აი ორდენოსანი საქართველოს ციტრუსოვანთა ბაღნარების მოწინავე ადამიანი—მარიკა ფუნდუკიდი, რომელიც დღეში 15.300 მანდარინს ჰკრეფს...

3 ...აქ საწყობებში ელვის სისწრაფით მოძრაობენ თითები, და ახვევენ და ყუთებში აწყობენ ციტრუსებს...

4 ...ამ წრეებს რომ გაირბენს მანდარინი, დიდ ყუთებში ჩალაგდება და...

5 ...აჰა, მიირთვით! მანდარინები გასძლებს, თუნდ გემით წაიღო, თუნდ მატარებლით ორდენოსანი სტახანოვის სანგრევ ურომდე, ვინოგრადოვას დაზგებამდე ან ბუსიგინის ავტოქარხნის გრდემლამდე...

6 ...დატვირთული სუფთა ყუთები მიდის და მიდის საბჭოთა ქვეყნის დამკვრელი მუშების ნათელ ბინებში, გაშლილ სუფრაზე.

500 სტანდარტული სახლი მშრომელთათვის

ქუთაისში წელს ჩამოყალიბდა კოოპერატიულ-სამრეწველო ამხანაგობა „სტანდარტმშენის" ქუთაისის განყოფილება, რომელმაც უკვე ააშენა მუშებისა და კოლმეურნეებისათვის 86 ათასი კუბიკური მეტრი მოცულობის სტანდარტული სახლები. ამხანაგობამ მიმდინარე წლის გეგმა 300 პროც. შეასრულა.

1936 წელს „სტანდარტმშენის" ქუთაისის განყოფილებას გათვალისწინებული აქვს ავგოს რაიონის მუშებისა და კოლმეურნეებისათვის კიდევ 500 სტანდარტული სახლი ქართული ტიპისა.

სახლების სტანდარტული ნაწილები შეკვეთილი აქვს „სოვზაპტრესტის" მთავარსამმართველოს, რომელიც უკვე შეუდგა შეკვეთების შესრულებას.

თვითეული სტანდარტული სახლი შესდგება 3 ფართო ოთახისა და აივნისაგან. სახლის ქვემოსართულში მოთავსებულია სარდაფი, საკუჭნაო და სხვ.

სტანდარტული სახლის ღირებულება 9 ათას მანეთს უდრის.

მომავალ წელს ქუთაისში გათვალისწინებულია სახელოსნოს მოწყობა, სადაც სტანდარტული სახლებისათვის დაამზადებენ ცალკე ნაწილებს—კარებს, ფანჯრებს და სხვ.

საკოლმეურნეო ბაზრობის შედეგები

სადირექტივო ორგანოების დადგენილებით 18 ოქტომბრიდან 6 ნოემბრამდე საქართველოს 11 პუნქტში (ტფილისი, ბათომი, სოხუმი, სტალინირი და სხვ.), გაიმართა სარაიონთაშორისო საკოლმეურნეო და სოფლებმოო ბაზრობა.

საქართველოს შინავაჭრობის სახალხო კომისარიატმა სარაიონთაშორისო საკოლმეურნეო ბაზრობის მოსამზადებელი მუშაობა, კარგად ჩაატარა. ამიტომ ყველა პუნქტში შემხვედრი ვაჭრობის საქონელბრუნვის გეგმა შესრულდა 118,5 პროცენტით (გათვალისწინებული იყო 27,9 მილიონი მანეთის საქონლის რეალიზაცია ფაქტიურად გაიყიდა 33,02 მილიონისა), ბათომში—135 პროც., სტალინირში — 140,8 პროც. ქიათურაში—163 პროც. ქუთაისში—170 პროც. და სხვ.

სარაიონთაშორისო საკოლმეურნეო ბაზრობაზე არაჩვეულებრივად გაიზარდა (შედარებით წინა პერიოდთან) სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გამოტანა. მაგალითად ტფილისში ხორცის გამოტანა გადიდდა 87 პროცენტით, კარაქის —60 პროც. ფრინველის—45 პროც. ბოსტნეულის—600 პროცენტით.

საბაზრო პუნქტებში მოეწყო კოლმეურნეობათა ორგანიზებული გამოსვლა. ტფილისში ბაზრობაზე ორგანიზებულად გამოვიდა 180 კოლმეურნეობა, ბათომში —86, სტალინირში—31, ქუთაისში—64, ახალციხეში—18, თელავში—22 და ქიათურაში—29.

სარაიონთაშორისო საკოლმეურნეო ბაზრობაზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დიდი რაოდენობით გამოტანისა და კოლმეურნეობათა ორგანიზებული გამოსვლის შედეგად საგრძნობლად შემცირდა ფასები. მაგ., ძროხის ხორცი იყიდებოდა — 8 მანეთად, ნაცვლად 9 მანეთისა; ცხვრის ხორცი—8 მანეთად, ნაცვლად 11 მანეთისა; კარაქი—20 მანეთად, ნაცვლად 28 მანეთისა; ათეული კვერცხი 4 მანეთად, ნაცვლად 5 მანეთისა, პამიდორი 80 კაპ. ნაცვლად 1 მან. და 50 კაპ. და სხვ. (ბაზრობის ზოგიერთ დღეს ფასები უფრო დაბალიც იყო).

ზემოაღნიშნული ცნობა გვიჩვენებს, რომ სარაიონთაშორისო — საკოლმეურნეო ბაზრობამ ხელი შეუწყო საქონელბრუნვის დაჩქარებას, კოლმეურნეობების ორგანიზებულ გამოსვლას, საბჭოთა ვაჭრობის ახალი მეთოდების შემდგომ დანერგვას, მომხმარებელთა კულტურული მომსახურებას და საქონლის ფასების საგრძნობ შემცირებას.

პროფ. ქ. დ. დონდუა—მეცნიერების დოქტორი

საბჭოთა კავშირის სამეცნიერო აკადემიის საკვალიფიკაციო კომისიამ არსებული სამეცნიერო ნაშრომების საფუძველზე (დისერტაციის დაუცველად), მიანიჭა სამეცნიერო ხარისხი ნ. ი. მარის სახელობის კავკასიისმცოდნეობის ინსტიტუტის მთელ რიგ მეცნიერ მუშაკებს.

პროფ. ქ. დ. დონდუას მიენიჭა მეცნიერების დოქტორის ხარისხი (ენათმეცნიერება). მეცნიერების კანდიდატის ხარისხი მიენიჭათ: ეთნოგრაფ ვ. ვ. ბარდაველიძეს, ისტორიკოს-დოცენტს ი. პ. პეტრუშევსკის და ლიტერატურათმცოდნე —დოცენტს მ. ნ. ხუბუას.

ფოტო—ორლოვის

30 ნოემბერს სევასტოპოლში გაიხსნა ჯავშნოსან „პოტიომკინის" აჯანყების (1905 წ.) ხელმძღვანელის ლეიტენანტ შმიდტის ძეგლი ძეგლი აგებულია კომუნარების სასაფლაოზე, სადაც 1920 წელს გადაასვენეს ლეიტენანტ შმიდტის ნეშთი.

სურათზე: ლეიტენანტ შმიდტის ძეგლის გახსნა.

ქ. ჯუღელი მიკროფონთან

ჯუღელის რადიოსადგურის სტუდიიდან 6 დეკემბერს მოეწყო რესპუბლიკური რადიოგადაცემა ჯუღელის რაიონის მიღწევებზე.

ჯუღელის რაიონმა რესპუბლიკის რადიომსმენელებს რადიოთი უამბო თავისი მიღწევები წარმოების და კოლმეურნეო მშენებლობის დარგში. გააცნო თუ როგორ გადაიქცა წინათ მივიწყებული დაბა მეტალურგიის განვითარების საკავშირო მნიშვნელობის კერად.

მიკროფონთან გამოვიდნენ რაიონის სახელოვანი ადამიანები, საქართველოს ცაკის წევრი ამხ. ვ. საღაძე, სოფლის მეურნეობის სტახანოველი — 65 წლის კოლმეურნე ვასილ რობაქიძე და სხვ. (საქ. კორ.).

ვაჟა-ფშაველას სტატიების კრებული

სამეცნიერო აკადემიის საქართველოს ფილიალი სცემს ვაჟა-ფშაველას ეთნოგრაფიული სტატიების ერთტომეულს, რომელიც დაწერილია ფშავში მის მიერ სოფლის სკოლის მასწავლებლად ყოფნის დროს გაზეთ „ივერიისა" და სხვა გამოცემებისათვის. სტატიებში ნათლად არის აღნუსხული ფშაველთა უუფლებო ცხოვრება მეფის თვითმპყრობელობის მიერ დევნის პირობებში.

კრებულში შევა სტატიები: „ფშავლის წუთისოფელი" „ფშაველთა ძველი კანონები და საოჯახო წყობა", „ფშაველებისა და ხევსურების ყოფაცხოვრება", „ფშაველების წარსული", „ხევსურების ქორწილი" და სხვ.

ამ მასალებზე მუშაობს მწერალი-კრიტიკოსი გერონტი ქიქოძე, რომლის რედაქციით 20 ფორმიანი კრებული გამოვა 1936 წლის დასაწყისში.

იშვიათი მოდელი



ტფილისის კომუნალურმა მუზეუმმა შეიძინა იმ სახლის მოდელი, რომელიც მენშევიკების ბატონობის დროს ბოლშევიკური პარტიის საიდუმლო ბინას წარმოადგენდა. სახლი მდებარეობდა ალაზნის ქუჩაზე № 22, ავლაბარში და იგი ამჟამად აღებულია კალინინის აღმართის გაფართოებასთან დაკავშირებით. ეს მოდელი მნიშვნელოვან განძს წარმოადგენს ტფილისის რევოლუციური წარსულის შესახებ მოგროვილ მასალებში. მოდელი შესრულებულია მხატვარ - მოდელისტის ამხ. საპაროვის მიერ ამხ. პოლოსოვთან ერთად. სურათზე: ალაზნის ქუჩა № 22 სახლის მოდელი.

ნადირობის აკრძალვა იშვიათ ცხოველებზე

კავკასიური ფაუნის საუკეთესო და დამახასიათებელი წარმომადგენლები —ჯეირნები, შველები, ჯიხვები, ნიამორები, კავკასიური ირმები და მთელი რიგი სხვა ნადირები თანდათანობით ისპობიან და გადაშენების გზაზე დგებიან სხვა გარემოებათა შორის, ამ ცხოველების გადაშენებას იწვევს მათზე უწესრიგო ნადირობაც.

აქ ჩამოთვლილ ცხოველებზე და გარეულ ფრინველებზე 1935—36 წლის ნადირობის სეზონის განმავლობაში, საქ. მიწსახკომისა და საქ. მონადირეთა კავშირის დადგენილებით აკრძალულია ნადირობა: შველებსა და მათ ნუკრებზე, ჯიხვზე, ჟღუნცზე, ნიამორზე, ხოხობზე, დურაჯზე, გედზე, ყარყატზე და გარეულ ინდაურზე.

ტფილისის მიდამოებში აკრძალულია ნადირობა გნოლზე და კურდღელზე.

ამბროლაურის რაიონში სოფ. კვაცხუთისა და ჩორჯის მთებში აკრძალულია ნადირობა კურდღელზე. ფოთის, სენაკის და ზუგდიდის რაიონებში აკრძალულია ნადირობა შველებსა და ხოხბებზე, ხოლო ფოთის რაიონში გარდა ამისა, აკრძალულია წავზეც.

მონადირეთა კავშირის ადგილობრივ განყოფილებებს დავალებული აქვთ თვალყური ადევნონ ნადირობის წესების დაცვას.

შემთხვევები

მკვლელობა. 8 დეკემბერს ვ. გ. ცინცაძემ („ავტორემსნაბის" საერთო საცხოვრებელი, საბჭოს ქ. 317), პირადი უსიამოვნების ნიადაგზე ატეხილი ჩხუბის დროს დანით სასიკვდილოდ დასჭრა მოქ. ვ. ი. შანიძე (მცხოვრები იქვე), რომელიც გარდაიცვალა. მკვლელობის შემდეგ ცინცაძე მიიმალა. 10 დეკემბერს მილიციის მიერ მიღებული ზომებით ცინცაძე შეიპყრეს.

ბოროტმოქმედების ადგილას შეიპყრეს ი. მ. პოლიაკოვი (უბინაო), რომელიც კლიტის გატეხვის საშუალებით ცდილობდა საქვაჭრობის № 3 მაღაზიის (საბჭოს ქ. 134), გაქურდვას.

უბედური შემთხვევა. მე-9 მარშრუტის ტრამვაის მისაბმელი ვაგონიდან გადმოხტა მცირეწლოვანი ვ. ს. ოსიპოვი, რომელიც მოჰყვა ვაგონქვეშ. ბორბლებმა მას მოსწყვიტა ორივე ფეხი. პლეხანოვის პროსპ. № 1—78 ავტომობილი დაეჯახა მცირეწლოვან ვ პავლუშინს და მძიმედ დაამავა. შოფერი გონოკიევი შეიპყრეს.

ქურდის შეპყრობა. მოქ. მ. ს. მიქელაძის ბინიდან (რამითის ქ. 14), სხვადასხვა საოჯახო ნივთების მოპარვისათვის შეიპყრეს ა. პ. კუბინინი.

ქრონიკა

— **დისკუსია.** 13 დეკემბერს საღამოს 8 ს. მწერალთა სასახლეში დრამატურგთა სექცია აწყობს დისკუსიას დრამატურგ კორნეიჩუკის პიესა „პლატონ კრეჩეტი"-ს შესახებ. მომხსენებელი —ვალ. ბოკუჩავა. დასწრება თავისუფალია.

რადიო-გადაცემა 12 დეკემბრისათვის

12—00— გასართობი მუსიკის კონცერტი, ჩაწერილი გრამოფონის ფირფიტებზე **12—45** — საუბარი თვითგანვითარების ციკლიდან ქართულ ენაზე. **13—00**— ქართული მუსიკალური ფოლკლორის საღამო **16—40**— საცეკვაო მუსიკის კონცერტი. **17—30** — ოპერათა ნაწყვეტების გადაცემა. **18 — 00**—გადაცემა უფროს მოწაფეთათვის (კონცერტი). **18—40** — კომპოზიტორ არაყიშვილის შემოქმედების კონცერტი. **20—00** — კომპოზიტორ ვერდის ოპერა „ტრუბადურის" ტრანსლაცია.

ვ. ფურცხვანიძე

ფოტო-აპარატით

ციტრუსების ბაღნარებში

7 ამ სილუეტებში, შავი ზღვის აქეთ მხურვალე მზე რომ იკარგება, ნელი სიო ათამაშებს ლიმონებს, ფორთოხლებს და მანდარინებს. სტახანოველი ქალები იცინიან და სწრაფად ჰკრეფენ ნაყოფს...

8 წელს ლიმონებმაც კარგად იხარეს საბჭოთა ქვეყნის მარად მწვანე სუბტროპიკებში. ჩვენი აგრონომები ყოველდღე მიკროსკოპებით სინჯავენ ნაყოფს, რომ მავნებელი არ შეიპაროს ის ძვირფას კანში ან და ყლორტებში...

9 ...ისევ ივსება თეთრი ყუთები და წითლად იწერება მისამართები: მოსკოვი... ლენინგრადი... ხარკოვი... კიევი... ოდესა... როსტოვი... ურალი...

10 ...ყუთები ისევ გემისკენ, ან მატარებლის ვაგონებისკენ მისრიალებენ და...

11 კულტურული მაღაზიები ველარ იტევენ ციტრუსების უხვ მოსავალს — მანდარინებს, ლიმონებს, ფორთოხლებს...

12 ორდენოსანი საქართველოს სტახანოველი ენტუზიასტები შეასრულებენ ა.-კ. ბოლშევიკების ნაცადი ხელმძღვანელის ამხ. ბერიას მითითებას და მალე... სულ მალე, არც ერთი მუშის სუფრა ისე არ გაიშლება, რომ იქ არ ნახოთ ციტრუსები...

[illegible]

დ ღ ე ს
5 აბონ. 5 წარმოდგ.
ტრუბადური
დირიჟ. [illegible]
[illegible]
ნ. [illegible]შვილი
ვ. ამირანაშვილი

13 დეკემბერს
7 აბონიმ. 5 წარმოდგ.
პიკის ქალი
[illegible]
დ. ანდღულაძე
გ. ვენაძე
დ. გამრეკელი

14 დეკემბერს
8 [illegible] წარმოდგ.
დიმიტრი მჭედლიძის მონაწილეობით
ფაუსტი
და ვალპურგიის ღამე

[illegible] „კოშკის [illegible]" და „რაინდი"

[illegible] თეატრი 1935—36 წლ. [illegible]

დ ღ ე ს
სახუნივერსიტეტოს
15 აბონ 2 წარმოდ.
ა ნ ზ ო რ

14 დეკემბერს
მედიცინის ტეხნიკუმის
18 აბონ. 2 წარმ.
პლატონ კრეჩეტი

15 დეკემბერს
20 აბონ 2 წარმ.
პლატონ კრეჩეტი

მესამე წარმოდგენის ნომრისა [illegible] გადასახდელი აუცილებლად შეტანილი უნდა იყოს.
სალარო ღიაა 11—2, 6—9 საათ.
დასაწყისი 8 საათზე.

მარჯანიშვილის თეატრი

12 დეკემბერს წარმოდგ. № 40 — ხიხოშვილის გურია
14 დეკემბერს წარმოდგ. № 41 — ჩატეხილი ხიდი

დასაწყისი საღ. 8 საათზე
ბილეთები თეატრის სალაროში დღის 11—2 ს. საღ. 6—9 ს.

მიიღება ხელისმოწერა

გაზეთებზე და ჟურნალებზე 1936 წლისათვის

გაზეთების და ჟურნალების დასახელება	პერიოდულობა	ღირებულება ერთი წლით		ღირებულება ექვსი თვით		ღირებულება სამი თვით		ღირებულება ერთი თვით		[illegible]
		მ.	კ.	მ.	კ.	მ.	კ.	მ.	კ.	კაპ.
გაზეთები:										
1. „კომუნისტი"	ყოველდღიურად	30	—	15	—	7	50	2	50	10
2. „პროლეტარი" (სომხ. ენ.)	„	30	—	15	—	7	50	2	50	10
3. „ენი-ქენდი" (თურქულ ენ.)	„	15	—	7	50	3	75	1	25	05
4. „ახალგაზრდა კომუნისტი"	„	30	—	15	—	7	50	2	50	10
5. „ნორჩი ლენინელი"	სამ დღეში ერთხელ	6	—	3	—	1	50	—	50	05
6. „საქართველოს ფიზკულტურელი"	ექვს „ „	9	—	4	50	2	25	—	75	15
ჟურნალები:										
1. „პარტიული მშენებლობა"	თვეში ორჯერ	12	—	6	—	3	—	1	—	50
2. „მშრომელი ქალი"	„ ერთხელ	4	80	2	40	1	20	—	40	40
3. „ბოლშევიკი"	„ „	6	—	3	—	1	50	—	50	50
4. „ახალგაზრდა ბოლშევიკი"	„ „	6	—	3	—	1	50	—	50	50
5. „პიონერი"	„ „	6	—	3	—	1	50	—	50	50
6. „ოქტომბრელი"	„ „	6	—	3	—	1	50	—	50	50
7. „კარმირ-წილერი" (სომხ. ენ.)	„ „	6	—	3	—	1	50	—	50	50
8. „ენი-ძიუვე" (თურქულ ენ.)	„ „	6	—	3	—	1	50	—	50	50

ხელისმოწერა უნდა ჩაბარდეს „სოიუზპეჩატს", ფოსტას, წერილდამტარებლებს, ხელმოწერის შემკრებთ საწარმოებსა და დაწესებულებებში, პოლიტგანყოფილებათა გაზეთების გამომცემლობებს ტრანსპორტზე.

ამ გამოცემებში განცხადებათა მოთავსების საკითხზე უნდა მიმართოთ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის განცხადებათა განყოფილებას, „კომუნისტი", რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. № 3-51-81.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის გამომცემლობა „კომუნისტი".

12 და 13 დეკემბერს, ლენინის სახელობის სპორტ-დარბაზში
(სართანიას ქ. № 6)
ქართული ჭიდაობა
ამიერ-კავკასიის შეჯიბრება.
მონაწილეობენ სომხეთის, აზერბეიჯანის და საქართველოს საუკეთესო მოჭიდავეები.
დასაწყისი 7 საათზე.
11684 ამ.-კავ. ფიზკულტურის უმაღლესი საბჭო.

განსახკომმა მე-47 სკოლა ი გახსნა სრულ და არასრულ საშუალო სკოლის მოწმობაზე გამოცდის ჩასაბარებლად
მოსამზადებელი კურსები ქართულ-რუსული სექტორით
მოწვეული არიან მაღალი კვალიფიკაციის მასწავლებლები.
განცხადებები და ყოველგვარი ცნობები მიიღება პლეხანოვის პრ. № 40.
დილის 9 ს.—3 საათამდე, საღ. 6—9 საათ.
11657 დირექცია.

ყველა ტიპის უმაღლეს სასწავლებლებისათვის
მოსამზადებელი კურსები
აცხადებს მიღებას ახალ ჯგუფში.
განცხადებები მიიღება ტფილისის საბ. ვაჭრობის ტექნიკუმის შენობაში, კეცხოველის ქ. № 12, საღამოს 6-დან 8 საათამდე
11654 კურსების დირექცია.

სახკინმრეწვი ხსნის
კინომსახიობთა კურსებს.
მიღების პირობები:
1. მიიღებიან ახალგაზრდები 18—25 წლამდე
2. განათლების ცენზი საშუალო.
3. გამოცდები იწარმოებს შემდეგ საგნებში:
ა) სახოგ.-პოლიტ.
ბ) ზოგადი-ლიტერატ. — ათწლედის ფარგლებში.
გ) ზოგადი-ისტორია
დ) ფიზიკური განვითარება (გამორკვევა ფიზკულტურული ვარჯიშობისათვის ვარგისობის თვალსაზრისით).
ე) ხმა და მუსიკალობა
ვ) მეტყველების უნარიანობა ქართულსა და რუსულში.
ზ) სამსახიობო უნარიანობა (გამორკვევა სამსახიობო უნარიანობისა).
4. მსურველთ შემოაქვთ განცხადებანი შემდეგი საბუთების თანდართვით:
ა) განათლების მოწმობა.
ბ) მეტრიკული ამონაწერი.
გ) ექიმის მოწმობა.
დ) სოციალური მდგ. მოწმობა
ე) ორი ფოტოსურათი.
ვ) ცნობა სამხედრო სამსახ. დამოკიდებულების შესახებ.
5. გამოცდებზე დაშვებულნი, საკონკურსო გამოცდების შემდეგ ჩარიცხულნი იქნებიან კურსებზე და უზრუნველყოფილნი სტიპენდიით.
6. სწავლის ვადა 2 წელია. კურსდამთავრებული კინო-მსახიობები ჩაირიცხებიან სახკინმრეწვის ფაბრიკის შტატში და უზრუნველყოფილნი იქნებიან საწარმ. მუშაობით.
7. განცხადებები და საბუთების მიღება ყოველდღე 9—4 საათამდე ფაბრიკაში ამხ. ს. სულაკაურის მიერ. აქვე სწარმოებს მიღების დაწვრილებითი პირობების გაცნობა.
უკანასკნელი ვადა განცხადებათა მიღებისა არის 30 დეკემბერი.
468 3—1 დირექცია.

ოქტომბერი 6-30. 8-30. 10-30 — ახალი ხმოვანი ფილმი „აეროგრადი" პროგ. დამატ. ჟურნალი № 30
დამკვრელი 6-30, 8, 9-30. 11 კინოში სიმფ. ორკესტრი — ახალი ხმოვანი ფილმი „არშაულა"
რუსთაველის თეატრი ახალი ამბები [illegible] საათიდან — ხმოვანი ჟურნალი № 31 2 ოქტომბრის 18 ... ტფილისში 1 [illegible] 45 წუთში.
ლიუქსემბურგის სახ. 6-30. 8. 9-30, 11 [illegible] დღის 12 [illegible] — ხმოვანი სრულმეტრაჟიანი ფილმი „კიროვი"
„26"-ის კომუნ. სახ. 6-30. 8-30. 10-30 — ახალი ხმოვანი ფილმი „არშაულა" რეჟისორი დ. რონდელი.

იყიდება ბუფეტი და ნოხი.
წულუკიძის ქ. № 4, მე-4 სართული. ხილვა ყოველდღე, ნაშუადღევი 5 საათიდან. 21 უფ.

ექიმი ი. ჭიჭიშვილი
ტფილისი. ვენერიული და კანის დაავად.
მიღება: დილ. 8—9 ს. და საღ. 6—8 საათ.
მისამართი: კამოს ქ. № 72. 9291

გაზ. „კომუნისტის" გამომცემლობის
სტამბა
ღებულობს მოწაფეებს
მოწაფეები მიიღება ორივე სქესის 18 წლიდან.
პირობების გაგება სტამბის ადმინისტრაციასთან—კამოს ქ. № 68.

ა.-კ. ინდუსტრიალური ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტის მეხუთე კურსის 86-ე 87-ე ჯგუფის სტუდენტები მწუხარებას გამოსთქვამენ ამავე კურსის სტუდენტ პეტრე ქავთარაძის საყვარელ დედის
კატოს
უდროოდ დაკარგვის გამო. 11676

ქეთევან, ელენე და გრიგოლ ყუფარაძეები უღრმეს მადლობას უცხადებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომლებმაც პატივი სცეს და გაიზიარეს მათი მწუხარება
ზოსიმე პეტრესძე ყუფარაძის
გარდაცვალების გამო. 11670

გულდამწვარი მშობლები: ლოლა ქაჯაია, ისაკ ბურჭულაძე იუწყებიან ძვირფას და საყვარელ, ნუგეშ, ცქრიალა
ზაირა ბურჭულაძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი დღეს, 12 დეკემბერს 6 ს. კობის პირველი ჩიხი, 4. 11680

სარეწკოოპერტელ „საერის" გამგეობა და წევრები უცხადებენ თანაგრძნობას ამავე არტელის გამგეობის წევრს ირაკლი ვლადიმერისძე წერეთელს მისი დის
ლიზას
უდროოდ გარდაცვალების გამო. პანაშვიდი 12 დეკემბერს, ვერის სასაფლაოზე. 11674

დამწუხრებული მამა ესე ჩავლეიშვილი, დეიდა მატრონე, ბიძა დომენტი გოგუა, ძმა პეტრე იუწყებიან, რომ 12 დეკემბერს 4 საათზე ავლაბრის სასაფლაოზე დანიშნულია დაუვიწყარ
პავლე ჩავლეშვილი
სამოქ. პანაშვიდი. 11677

დამწუხრებული შვილები: ვასასი, ანიჩქა, სიძეები, გიორგი ქუჩიშვილი, ნოე ნუცუბიძე. შვილიშვილები: ციალა, ბიჭიკო, თამრიკო იუწყებიან
სელო ივანეს ას. რამიშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, 4 ს. ქორესის, 4, ვერის სასაფლაოზე. 11678

დამწუხრებული ცოლი ალათი, შვილები: ელიჩქა, ევგენი, იოსებ, რძლები: თინა, თათუშა იუწყებიან
ანტიფო ხიმონისძე ახალაიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 14 დეკემბერს 5 საათზე, მარტვილის რაიონი, სოფელ ქვედა-ნაგვაზავო. 11679

უახლოესი მეგობრები: მალვინა ლომთათიძე, ვერიკო ცინცაძე, თინა ჩიგოგიძე, ჯემალ მესხი, ლოლა მგელაძე, ტოგო არაბიძე და ქეთო ჭანიშვილი დავსტირით სიცოცხლით სავსე საყვარელ
შატუ ჯიბლაძის
უდროოდ დაკარგვას. 11647

დამწუხრებულნი მატრონა, შვილები სერგო, ვასო, ლიზა, დუსა, ლინა, რძალი ბაბილინა და შვილიშვილი ლილი გოქსაძეები მწუხარებას გამოსთქვამენ დაუვიწყარი
ელენე იასონის ასულ ხუხუას
უდროოდ გარდაცვალების გამო სოხუმში. 11682

მამა ასისო, დები: ელენე, მამიკა, ოლია, ბიძაშვილები: თამარ, ვალოდია იუწყებიან, რომ 12 დეკემბერს 2 საათზე კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქ. პანაშვიდი
ნიკო ალექსანდრესძე კიკნაძის
ხსოვნის აღსანიშნავად. 11685

შვილები: მარო და მოსე სულიკაშვილები, სიძე დათიკო რობაქიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საყვარელი მამა
არსენ სულიკაშვილი
დაკრძალვა 12 დეკემბერს, ს. ანაგაში. 11686

დამწუხრებულნი: გულიზარ, უსუფი, მუსა მემედი, სულეიმან. ჯემალ, აბასს ისაკი, აკიე, მაჯიდე. ოჯახებით იუწყებიან ძვირფასი მამის და ბიძის
აბდულ დიასამიძის
გარდაცვალებას. დასაფლავება ბათომში ბუდიონის ქ. № 11. 11689

სტ. „კომუნისტი" კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული 8241